# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
კონტორის ტელეფ. 5—73.

ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მეექვსე | სამშაბათი, თებერვლის 17 1920 წ. № 35 | ფასი 4 მან.



სოფ. ახაშენში (სიღნაღ. მაზრა) ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თებერვლის 15 ს გარდაიცვალა:

ვერა გაბრიელის ასული წინამძღვრიშვილისა

რასაც უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ—მეუღლე განსვენებულისა გიორგი ალექსანდრეს ძე—მამამთილი ალექსანდრე ზაალის ძე და დედამთილი მაკრინე მიხეილის ასული წინამძღვრიშვილები პანაშვიდი 17 თებერვალს დღის 12 საათზე ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში 2655—1—1

შვილები განსვენებულის

ნინო გაბრიელის ასულის ივანიცკისა

აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ მის გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე ოთხშაბათს 18 თებერვალს დილის 10 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. 2—1

დღეს, თებერვლის 17-ს სოფ. ნინოწმინდაში წმიდა ნინოს ტაძარში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

მარიამ (მაიკო) ნიკოლოზის ასულის მათიკაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის შვილები: შალვა, ირაკლი, ნიკოლოზ და ლევან

დღეს, თებერვლის 17-ს ს. ნინოწმინდაში წმ. ნინოს უძველეს კათედრალურ ტაძარში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

მარიამ ნიკოლოზის ასული მათიკაშვილის

სულის მოსახსენებლად. რასაც იუწყებიან განსვენებულის ძმა დეკ. ალ. გულისაშვილი, მეუღლე რახიელ, ასული ნინო, ერასტი გულისაშვილი ცოლშვილით, დაი სოფიო ლეონიძისა შვილებით: ევგენია, ლევან, სვიმონ, გიორგი, ნინა, რძალი ანასტასია გულისაშვილისა და სიძე რევაზ ჯიდეჯანიშვილი

კახელ მევენახეთა კავშირთ კავშირის გამგეობა მწუხარებით აუწყებს თხვის წევრთ გამგეობის თავმჯდომარის გიორგი ალექსანდრეს ძე წინამძღვრიშვილის მეუღლე

ვერა გაბრიელის ასული წინამძღვრიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 19 თებერვალს სოფ. ახაშენში (კახეთი) პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს ქვაშვეთის ეკლესიაში შუადღის 12 საათზე. 2858—1—1

სახელმწიფო თეატრი

ეგლახიშვილის ხელმძღვანელობით.
დღეს, თებერვლის 17 ს

სევილიელი დალაქი და ალეკო

მიხეილის
ალკრე
პლეხანოვის ქუჩა, 91.

მხოლოდ სამი დღით თებერვლის 17, 18, 19 ს მხატვრული კინო-დრამა 5 მოქ.

ეშირით მოწამლული

უმთავრეს როლში იტალიის მშვენება ლედა გაზი.
ყოველ დღე სიმფონიური ორკესტრი. დასაწყისი 5 ნახ. ს.

ქართული კლუბი

ოთხშაბათს 18 თებერვალს
რუსული დრამის „ტარტუს“ მიერ წარმოდგენილ იქნება
მიხ. ჩერნოვის მხიარული ფარსი გერმანელების ცხოვრებიდან

„შეშლილი ქალწული“

ეს პიესა გერმანიაში აკრძალულია
მონაწილეობს მთელი დასი რეჟისორი ა. ა. ტუგანოვი დასაწყისი 9 ს.
კლუბში შესვლა საზოგადო წესით.
19-2—1

არტისტიულ საზოგადოების თეატრი

ოთხშაბათს, თებერვლის 18 ს
მსახიობთა შეერთებულ ძალებით წარმოდგენილი იქნება
ა. სუმბათაშვილის პიესა

ღალატი

5 მოქმედებად.

ქ. ქ. ნინო ჩხეიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ო. ლიქავა, ვ. ანჯაფარიძე, ე. ციმაკურიძე; ბ. ბ. ვ. გუნია, ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, მ. ქაიურელი, ამაშუკელი, შანშიაშვილი და სხვ.
რეჟისორი ვ. გუნია. ადმინისტრ. ა. გაჩეჩილაძე.
დასაწყისი 8 ს. 2853 2—1

ყოველ თვიური ჟურნალი

„მეჭოლდოსანი“ № 1.

გრიგოლ რობაქიძე ფრანგ პოეტს.
ტიციან ტაბიძე—ლვდელი და მალარია.
პაოლო იაშვილი—ალი არსენიშვილს.
ვალერიან გაფრინდაშვილი—საფერფლე.
კოლაუ ნადირაძე—საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან.
რაჟდენ გვეტაძე—სასაფლაო და ყვავები.
შალვა აფხაიძე—ღვთისმშობელი პროსპექტზე.
ნიკოლოზ მიწიშვილი—დეკემბრის აგონია.
ნიკო ლორთქიფანიძე—ჩარდაში.
დია ჩიანელი—საუკუნეთა ორლობეში.
ტიციან ტაბიძე—დაისრული სებასტიანე.
ვალერიან გაფრინდაშვილი—რითმა და ასონანსი.
კოლაუ ნადირაძე ქართული პოეზია.
შალვა აფხაიძე—ლიტერატურული პროფილები.
რედაქტორი სანდრო ცირეკიძე.
იყიდება კანტორა „განათლებაში“ და კაფე „დარბაზის“ წინ.
ფასი 30 მან.



ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)
ყოველ დღე სადილი
1 საათ.—5 საათ. ბლინები.
სამშაბათს თებერვლის 17-ს
საექსპრომტო საღამო
თებერვლის 18-ს პრემიერა „მხიარული ხიკვდილი“ და ეტუალების სკოლა“ ნ. ევრეინოვისა, დასდგამს ავტორი.
ანონსი. შაბათს 21-ს თებერვალს დიდი მასკარადი. დაწვრილებით პროგრამებში



ცირკი „კრისტენს“
ვერის დაღმართზე. ტელ. 5-62.
დღეს, თებერვლის 17-ს 1920 წ.
გასტროლური წარმოდგენა
მსოფლიო ტურნე!!! მხოლოდ შვიდი დღე ცნობილ ჰიპნოტიზიორის და „ცოცხალ აკვარიუმის“ პრემიერის მისტერის ბერტონის მონაწილეობით.
მისტერ ბერტონს აქვს დიდი სახელი მოპოვებული მთელ ევროპაში. მას არავითარი რეკლამები არა სჭირია. ჰიპნოზის სფეროში მას ბადალი არავინ არა ჰყავს.
ფრანგულ ჭიდაობის გაგრძელება იჭიდავებს: შეხვედრა ორი ფალავანის—გენჯაალი—ნეიზვესტნი იმერეთის სიამაყე თვრამეტი წლის ლამაზი მაცისტი“-ს სახელით წოდებული კოლია ქვარიანი—ოლეინიკოვის წინააღმდეგ. ჯიოვანი—ვ. ოქ. წარმოდგენის დასაწყისი 8 ნახ. ს. ბერტონის სეანსი 2 ნაწილად შესდგება. ჭიდაობის 10 ნახ. ს. გათავდება საღ. 12 ს.
გამგე. იურიევი. არბიტრი: ვ. კვიატკოვსკი.

კინემო

ახალი მხატვრული დადგმა!!!
იშვიათი ანსამბლი ორი ლამაზი ვარსკვლავი ეკრანის
მონაწილეობას მიღებენ:
ელენე ლეონიდოვისა
და ევა დორინგტონი



მინიონი
თებერვლის 15, 16, 17 და 18-ს

გამოცდა
(ვნება და გიწიერება)
პსიხოლოგიური კინო-დრამა ხუთ ნაწილად.
ელენე ლეონიდოვისა შეასრულებს ცეკვას „შიშველი“-ს.
ამ სურათზე მოწაფეებს და ბავშვებს არ დაუშვებენ. 2832 1—1

ორშაბათიდან თებერვლის 16 იდან თეატრ
აპოლოში
თბილისში გადაღებული მეორე სურათი საქც. საზ-ბა „ფილმა“ ს კინო-ატელიეს დადგმა
მითხარი რისთვის?
მხატვრული კინო-დრამა 5 ნაწილად.
პ. კაშევსკის, ევა სებარის, ანნა დავიდოვას, ე. ჩარსკაიას, ი. არბატოვის მონაწილეობით.
რეჟისორი ვ. გ. ბარსკოი, მხატვარი ვ. ა. სიმოვი, ოპერატორი ა. დ. დიგმელოვი.

1-ლ მარტიდან თბილისში გამოვა ყოველკვირეული გაზეთი

„სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ ექნება შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მევენახეობა და მეღვინეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.
„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.
რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.
გაზეთს რედაქტორობს ნიკო კაიშაური.
რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. 4-3-1


## ბათომი

ბათომის შესახებაც ანტანტმა სწორი შეხედულება შეითვისა: ბათომის მხარე საქართველოა და საქართველოს უნდა დაუბრუნდესო, ასე სწერდა საფრანგეთის მთავრობის ოფიციოზი, გაზეთი „Temps“-ი ერთ-ერთი თავის უკანასკნელ მოწინავე წერილში. ამას სწერდა გაზეთი, როგორც საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრისათვის, აგრეთვე მოკავშირე ინგლისის ოფიციალურ და არა-ოფიციალურ წრეებისათვისაც. ასეთი გარკვეული აზრი საფრანგეთის მთავრობისა ჩვენთვის მეტად სასიამოვნოა. არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც თვით საქართველოს ეროვნული თავისებურობა და მისი სუვერენიტეტი მეტად საეჭვო სინამდვილის საკითხი იყო როგორც საფრანგეთისა, ისე ანტანტის დანარჩენ წევრებისათვის. დღეს მათთვის უდავო გახდა არა მარტო en bloc საქართველოს ორგანიზმის სინამდვილე და მისი სუვერენობის აღიარება, არამედ უდავოდ გახდა აგრეთვე საქართველოს სუვერენობის ფარგალს შემთხვევით ჩამოცილებული ამა თუ იმ ნაწილის საქართველოს წიაღში დაბრუნების საკითხიც. ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ ანტანტის ეს მეთოდი საქართველოს იმ ნაწილებზედაც გავრცელდება, რომელიც დღესაც, ისტორიული ძალმომრეობის აქტით, ოსმალეთის იმპერიაშია მოქცეული.

როგორც სჩანს, ბათომის შესახებ „Temps“-ის სიტყვების განხორციელების დრო-ჟამი უკვე დამდგარა. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ბათომის ოლქს ინგლისი სტოვებს. მისი ჯარის ერთი ნაწილი წასულა კიდეც; დანარჩენიც მას მიჰყვება, რა წამსაც დასრულდება ქალაქ ბათომში თავმოყრა იმ ჯარის ნაწილებისა, რომელიც დღეს ბათომის ოლქის სხვა და სხვა პუნქტშია ჩაყენებული.

ყველა მოსაზრება ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ როგორც ინგლისის შემოსვლა ამიერ კავკასიის იმ ოლქებში, რომლებიც ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ოსმალეთის ხელში იყო გადაცემული, ისე მისი აქედან გასვლაც ანტანტის ნორმალური დადგენილებით მოხდა. წარმოუდგენელია, ომის შედეგების ლიკვიდაცია სწარმოებდეს ანტანტის ამა თუ იმ წევრის, სეპარატიული პროგრამით და მოქმედებით. ინგლისის წასვლა და ბათომის საქართველოს ფარგალში დაბრუნება ანტანტის უმაღლესი საბჭოს რეზოლიუციით იქნება დადგენილი. ჩვენ არა გვაქვს ცნობა იმისა, ეუწყა თუ არა ჩვენს მთავრობას ვისგანაც ჯერ არს, რომ ბათომის ოლქი იქიდან ინგლისის გასვლისთანავე, მან ჩაიბაროს.

თუ მთავრობას ასეთი ცნობა ჯერ არ მიუღია, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგი თავის დროზედ მოუვა მას. და ჩვენც უნდა ვემზადოთ გარემოებათა აუცილებლობით ამ ერთადერთ მოსალოდნელ რეზოლუციის მისაღებად.

ჯერ დასრულებული არ არის დაპყრობის და წართმევის ხანა. ვიცით ისიც, რომ ბათომის მხარეს მტაცებლის თვალით უყურებს არა ერთი და ორი მეზობელი, მახლობელი თუ შორეული. ფაქტია ისიც, რომ ამიერკავკასიის ცხოვრებაში ასეთი გარდამავალი მომენტები ყოველთვის ჩვენი საკუთარი ტერიტორიის დაკარგვით დასრულებულა.

რომ თადარიგი დაგვეჭირა და საქართველოს ისეთ ღვიძლ ნაწილებში, როგორიცაა ბორჩალო და ზაქათალა, ჩვენი ძალები დროზედ შეგვეყვანა, დღეს ერთიც და მეორეც საქართველოს ფარგალში იქნებოდა; შევინახავდით ქვეყნის ეკონომიურ-სტრატეგიულ და ეთნოგრაფიულ მთლიანობას და ძველ თაობათაგან გადმოცემულ საქართველოს უკლებლივ მომავალ თაობებს ჩავაბარებდით. ისტორიული დავალებაც პირნათლად გვექნებოდა შესრულებული. მაგრამ მაშინ ჩვენს მმართველ სოციალისტებს აკლდათ სახელმწიფოსა და ეროვნების მამოძრავებელი ელემენტარი ინსტინქტი და ცნება. არ ესმოდათ, რომ ერის უფლებას და ერის საკუთრებას, იარაღი ესაჭიროებოდა, დაცვა უნდოდა. ეს ჩვენ ძვირად დაგვიჯდა. კიდევ უფრო ძვირად დაუჯდება იგი ჩვენს მომავალ თაობებს, რომელთაც ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი არსებობის ლოღიკა და ეროვნული ძიების ძალა არ მოასვენებს, ვიდრე არ აღადგენს საქართველოს ტერიტორიის დარღვეულ წონასწორობას.

ეხლა მაინც, ბათომის ამ ვითარების დროს, უნდა ვეცადოთ, ძველი შეცდომა არ განმეორდეს. ვილონისძიოთ იმედენი, რომ მომავალი თაობები კიდევ ზედმეტის ტვირთით არ დავამძიმოთ.

ბათომის საკითხში საქართველოს სასარგებლოდ გამოტანილი ანტანტის რეზოლუცია უნდა სავსებით იქნეს გამოყენებული. ბათომის ოლქი კომპაქტურად ჩვენმა ძალამ უნდა დაიჭიროს, რა წამსაც ანტანტი იქიდან სავსებით გაიყვანს ინგლისის ჯარს—ვინაიდან „Temps“-სავე თქმით, „ბათომი საქართველოა და საქართველოს უნდა დაუბრუნდეს“.

## დამფუძნებელი კრება

თებერვლის 13-ის სხდომა.
(გაგრძელება)

### ლეო შენგელაიას სიტყვა
(ს. რ.)

**საერთო უკმაყოფილების გამომწვევი ორი სამინისტრო**

ჩვენში არსებობს ორი სამინისტრო რომელთა მოღვაწეობა საქართველოში იწვევს საერთო უკმაყოფილებას და აღშფოთებას.

ეს სამინისტროებია მიწადმოქმედების სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ეს სამინისტროები, მოწოდებული იყვნენ ჩვენში დამოუკიდებლობის პოლიტიკურ საფუძვლების განსამტკიცებლად, სამწუხაროდ მათი მოღვაწეობა გადაიქცა ნიმუშად სრულის უმწეობისა თუ კი შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის პოლიტიკურ მეთოდებით ჩვენი რესპუბლიკა მონარქიას დაამგვანა მიწად მოქმედების სამინისტრო გადაიქცა ჩვენი ქვეყნის განიავების ისტორიად.

**არ არის გამართლებული წარმოდგენილ დეკრეტი**

წარმოდგენილ დეკრეტის გამართლება უნდა ვეძიოთ იმ არა ნორმალ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. დამფუძნებელ კრებამ მიიღო ყველა უწყების ერთნაირ თანამდებობის პირთა თვის ერთნაირ ჯამაგირების მიცემის წესი. შემდეგ ცხოვრების სიძვირემ გვაიძულა რომ ჯამაგირები რამდენჯერმე მოგვემატებინა.

მიწადმოქმედების სამინისტრო კი არ კმაყოფილდება ამით და თავის უწყების მსახურთათვის მომატებულ ჯამაგირებს ადგენს. თან ურთავს განმარტებით ბარათს რომელიც ვითომც და ფორმალური გამართლებაა ამ დეკრეტისა.

**სამინისტროს დიდებული საქმეები.**

განმარტებით ბარათში, რომელიც ახლავს ამ წარმომადგენელ დეკრეტს, ჩამოთვლილია ის დიდებული საქმეები რომელიც დავალებული ჰქონდა მიწად მოქმედების სამინისტროს: ეს არის აგრარულ რეფორმის გატარება და სახელმწიფო ტყეების მოვლა.

**რა გააკეთა სამინისტრომ.**

უნდა შევეხოთ მიწად-მოქმედების სამინისტროს საქმეებს, თუ რამდენად შეასრულა ეს მოვალეობა და რამდენად გაამართლა ეს იმედები.

აგრარულ რეფორმის არც ერთი ნაწილი არ დასრულებულა.

## დღეს კინემატოგრაფებში

**აპოლო**

საღამო სიცილისა და იუმორის! კიდევ ორი დღით თებერვლის 14 და 15-ს ყველასთვის საყვარელი მაქს ლინდერი—ცოცხალია. და ისევ ეკრანზეა ახლახანს მიღებულ კომიკურ პიესაში

# დალაქი მაქსი

ორიგინალური მხატვრული დადგმა

## ორი მზე

ამერიკული კინო-პიესა 3 ნაწილ.

ნათამაშევი ეკრანის საუკეთესო მსახიობთაგან. უმთავრეს როლში ნაზიერი მარი, რომ ელმაც მთელი საზოგადოება მოაჯადოვა უნიჭიერეს თამაშით სურათში „სიცილი და ცრემლები“.

მუსიკალური ილლუსტრაცია ი. ნ. ხუდიაკოვისა.

**ფენომენი** კინო-თეატრი რუსთ. ქუჩა № 3.

**სახელოვანი მსოფლიო დადგმა**

პირველი გრანდიოზული კინო-რომანი. ახლოხანს მიუღებული ახალი ეგზემპლიარი

# „ვამპირები“

ფეიდიმერის ნაწარმოებით

## ნაპერგოვსკოის, მორსელ ლევეკის (მუსიდორა) და სხ.

სახელოვან მსახიობთა მონაწილეობით

**დღეს:** სერიები 1 (თავი) და 2, (ბოროტების ყვავილები) 6 ნაწილად.

2854—1—1

**კინო პალასი**

**სახელმწიფო თეატრში** არ ენახავი დადგმის გაგრძელება ეპიზოდები 7, 8, 9

# „ვიღუპები, მიშველეთ!“

# „დამხსნელი სხივი“

გრანდიოზული ამერიკული კინო რომანი

## სახლი მძულვარებისა

ახალი სერია

პირლ უაიტის და ანტონიო მორენოს მონაწილეობით.

„ფორმულა 520 bis“.


# დღეს:

ინგლისის პარლამენტში მეფემ განაცხადა: რუსეთში უნდა აღვადგინოთ არა მარტო ზავი, არამედ ცხოვრების ნორმალური პირობები.

ლლოიდ ჯორჯმა ქვედა პალატაში განაცხადა: საბჭოთა რუსეთზე იარაღით ვერ გავიმარჯვებთო.

ერთა ლიგის ყრილობა დაინიშნა რომში.

საფრანგეთის პალატის ვიცე-პრეზიდენტად რაულ პერეს მიგიერ ლეონ ბერარი დაინიშნა.

ბულგარეთში გაფიცვები დაიწყო; დავიდოვიჩის კაბინეთი გადადგა.

ლონდონის კონფერენციამ ოსმალეთის საკითხი გადასწყვიტა: კონსტანტინეპოლში ოსმალეთის ბატონობა რჩება. სრუტეს დაიცავს მოკავშირეთა ჯარების ნაწილები.

შავი ზღვის პირის გლეხთა ლაშქარმა ტუაპსეს ოლქის საზღვარზე მოხალისეები დაამარცხა.

---

**წერილები:**

მეთაური. ბათომი.
დამფუძნებელი კრება.
დავით კლდიაშვილის იუბილე.
ს. ყიფიანი—
შ. ბერიძე—
ნავთი და ევროპა.

---

უნდა ითქვას, რომ პირველი ნახევარი ამ რეფორმის ადვილი საქმე გახლდათ. ჩვენში ანარქია ისე არ ყოფილა რომ მისთვის ხელი შეეშალოს. ვიმეორებ, ჩვენში იყო ყოველგვარი პირობები, რომ პირველი ნახევარი ამ რეფორმისა, ე. ი. მიწების კონფისკაცია ცხოვრებაში გატარებულიყო. ამისდამიუხედავად ფაქტია, რომ მიწების ჩამორთმევა არ დასრულებულა გორის, დუშეთის და ახალქალაქის მაზრაშიც კი.

**გაკეთებულის უვარგისობა.**

რაც გაკეთდა ამ დარგში,—რაზედაც აუარებელი ფულები დაიხარჯა, ისიც ხელმეორედ არის გასაკეთებელი. მიწის მზომელთა ყრილობაზე გამოირკვა რომ მიწის მიმღებ კომისიების ნამუშევარში დიდი შეცდომებია და რომ სასურველად ჩავატაროთ ეს რეფორმა სულ ცოტა ათი წელიწადია საჭირო, რადგან აუცილებელია კომისიების მიერ ჩადენილ შეცდომების გამოსწორება.

ჩვენი ტერიტორია რომ ისე ვრცელი იყოს როგორც რუსეთი, კიდევ შეიძლებოდა რომ ასეთი საქმე ძნელად შესასრულებელი ყოფილიყო, მაგრამ აქ სჩანს სრული სისუსტე და უნარის უქონლობა, რომელიც გამოიჩინა ჩვენმა სამინისტრომ.

**აგრარულ რეფორმის მეორე ნაწილი.**

ასევე უნუგეშო მდგომარეობაში არის აგრარულ რეფორმის მეორე ნაწილი. ჩვენ გვაინტერესებდა გაგვეგო თუ რა ზომებია მიღებული ამ რეფორმის მეორე ნაწილის, ე. ი. მიწების გაყიდვის ცხოვრებაში გასატარებლად. ამას წინად, როდესაც ჩვენ ეს სურვილი გამოვსთქვით, გიორგაძემ განაცხადა, რომ თქვენ თუ გაინტერესებთ ეს საკითხი თვით მინისტრი გამოვა და გაგიცხადებთო, მაგრამ დღემდის მინისტრს არაფერი განუცხადებია, ალბათ არაფერი აქვს სათქმელი.

**მიწის გაყიდვაზე დამყარებული იმედები.**

მიწადმოქმედების მინისტრი, როდესაც იცავდა მიწის გაყიდვას, მოჰყავდა ის მოსაზრება, რომ ამით სულ 300 მილ. მანეთი შემოვა. ეს მოგვცემს საშუალებას ხელი შეუწყოთ მეურნეობის განვითარებას ჩვენში. ამ ფულის ხაზინაში დაბრუნება ასწევს ჩვენი მანეთის კურს და სხვა, თქვენ იცით, რომ არც ერთი ეს იმედი არ გამართლებულა. ჩვენ ამას წინად ერთი მილიონი გადავდეთ არხების გასაყვანად, და ჩვენი კურსიც ეცემა და არ იწევს. აქედან ცხადია არც ერთი დაპირება არ არის გამართლებული.

**ტყეების მდგომარეობა.**

სამინისტროს დავალებული ჰქონდა აგრეთვე ჩვენი ტყეების და მამულების მოვლა პატრონობა. რა გააკეთა ამ მხრივ სამინისტრომ. ჩვენს ტერიტორიაზე 2 მილიონი დესეტინა ტყეა და მისი ექსპლოატაცია, რომ რაციონულ ნიადაგზე იყოს დაყენებული იგი უდიდეს შემოსავლის წყაროდ უნდა გადიქცეს. მთელ წლის განმავლობაში კი ტყეების ექსპლოატაციამ მოგვცა 9 მილ. მანეთი ხოლო მის ხარჯებს მოუნდა 24 მილიონი.

**გაპარტახებული სახელმწიფო მამულები.**

თვით მინისტრის მიერ მოწვეულ თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ სახელმწიფო მამულების გამგენი გამოირკვა, რომ ჩვენი მამულების ექსპლოატაციის საქმე ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული. გაოხრებულია მამულები. შემოსავალი მცირეა. გამგენი დამნაშავედ მუშებს სთვლიან. მამულებიდან იტაცებენ ინვენტარს. ბორჯომის მამულში ადგილი ჰქონდა დიდ ბოროტმოქმედებას (პ. გელეიშვილი: დაასახელეთ, რა ბოროტმოქმედება, დაასახელეთ) ეს გამოძიებამ გამოარკვია.

**კოჯორის მამულის იჯარით გაცემა.**

კოჯორის მამულის შესახებ ბევრი დაიწერა პრესაში. ბევრი ილაპარაკეს თვით სოც.-დემ. ფრაქციაში. მთელი ეს მამული სადაც 8-9 სააგარაკო ადგილია, რომელიც 200 ოთახამდის შეიცავს გაცემულია კერძო პირზე 30 ათას მანეთად. მაშინ როდესაც, როგორც გამოარკვია თბილისის საკონტროლო პალატის მიერ გაგზავნილმა მოხელემ მარტო ერთ აგარაკის შემოსავალი 26 ათას აღემატება.—8—9 აგარაკი როგორც მოგახსენეთ გაცემული 30 ათას მანეთად, თქვენ წარმოიდგინეთ თუ რამდენი შემოსავალი ექნება მას, ვისაც აქვს აღებული იჯარით ეს მამული. იჯარით აღების შემდეგვე პატრონმა ითხოვა რესტორანის გახსნის უფლება და გახსნა კიდეც. იქ მყოფ მუშებს 4 თვეა ჯამაგირები არ მიუღიათ. მიუხედავად იმისა რომ მათ აღძრეს შუამდგომლობა მინისტრთან რომ მინისტრს ჯავლენა მოეხდინა პატრონზე, დღემდე არც მუშების მდგომარეობა არის გაუმჯობესებული. ასე რომ აქ არც სახელმწიფოს და არც მუშების ინტერესებია დაცული (შ. ნუცუბიძე: რომელიმე ინტერესი მაინც არის დაცული!).

**საძოვარი მიწები აუქციონში.**

მიწად მოქმედების სამინისტროს განზრახული აქვს საძოვარი მიწები გადარიცხოს ფონდში. ეს იქნება განწირვა ამ მიწების, მათი აუქციონში ჩაგდება.

**სამინისტროს ინსტრუქციები.**

მიწადმოქმედების მინისტრი ხშირად სცემს ისეთ ინსტრუქციებს, რომელიც პირდაპირ გაუქმება.

ასეთია ის ინსტრუქცია, რომელსაც 6 იანვარს მთავრობამ გამოსცა. ეს იძულებით დათესვა მიწების. განა შეიძლება, რომ უნდა თუ არ უნდათ ძალად დაამუშავებინოთ მიწები. შრომის ბეგარას თუ ვილებთ, იგი ჯერ ქალაქიდან უნდა შემოვიღოთ. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ მიწადმოქმედების სამინისტროს 2 წლის ასეთ მოღვაწეობისა და არც შეგვიძლიან მხარი დაუჭიროთ სამინისტროს მსახურთა მომატებულ ჯამაგირებს:

**მიწადმოქმედების მინისტრი უნდა გადადგეს.**

ამის შემდეგ რაც გამოირკვა რომ მიწადმოქმედების მინისტრის ამ ორი წლის მოღვაწეობა სრული უმწეობაა და უნარის უქონლობა, მიწადმოქმედების მინისტრი უნდა გადადგეს, ისე როგორც მისი ამხანაგი.

## ხომერიკის სიტყვა

**უადგილო კრიტიკა**

აქ თქვენს წინაშე მარტივი საკითხია წამოყენებული უწყება ითხოვს მომატების გავრცელებას თავის მოსამსახურეებზე. ამიტომ უადგილო იყო ის კრიტიკა, რომელიც აქ ინება შენგელაიამ. ეს შეიძლებოდა მაშინ, როცა აქ იქნება ბიუჯეტის განხილვა.

**შენგელაია საქმის უცოდინარი კაცია.**

უნდა მოგახსენოთ, რომ შენგელაიას საუბარი იყო საქმის უცოდინარი კაცის საუბარი. ის გვისაყვედურებს, რომ აქამომდე აგრარული რეფორმა არ გაგვიტარებიათ.

მას წარმოდგენა არა აქვს რეფორმის ხასიათზე. მართალია ჩვენ ორი წელიწადია რაც ვატარებთ რეფორმას, მაგრამ ფაქტიურად სულ 11 თვე შეგვეძლო მუშაობა, მიწის ჩამორთმევისთვის არსებობს განსაზღვრული დრო, როცა შეიძლება ეს მოხდეს.

**მიწის რეფორმა.**

მიწის ჩამორთმევა შეუძლებელია. ჩვენ მივიღეთ სახელმწიფო ფონდში 610 ათასი დესეტინა. სოხუმის ოლქის გარდა შეიძლება ზოგიერთ მაზრებში რამდენიმე ათეული დესიატინა იყოს დარჩენილი, მაგრამ უმეტესი ნაწილი ყველგან ჩამორთმეულია.

**უმიწაწყლოთ რაოდენობის გამორკვევა**

შენგელაიას ავიწყდება რომ ჩვენ კანონით მიზნად გვაქვს დასახული უმიწაწყლო მცირე მამულიანთ რიცხვის გამორკვევა და მათთვის დარიგება მიწისა, ეს დიდ წინასწარ მუშაობას მოითხოვს.

**მიწის დარიგება.**

მიწის გადაცემაც უკვე ხდება. თბილისის მაზრაში ფაქტიურად გადაეცა 23 ათას დესეტინაზე მეტი. ქუთაისის მაზრაში დარიგებულია 16 ათასი ქცევა.

**სატყეო მეურნეობა.**

ქუთაისის გუბერნიის სატყეო მეურნეობა სახელმწიფოს ნორმალ დროსაც ზარალს აძლევდა. სატყეო მეურნეობის სათანადო ნიადაგზე დასაყენებლად საჭიროა დიდი წინასწარი მუშაობა. ჩვენი ტყეები გაშენებულია მიუდგომელ ადგილებში. მათ საექსპლოატაციოდ საჭიროა რკინის გზების გაყვანა. ეს კი ჩვენ სახელმწიფოს დღევანდელ პირობებში არ შეუძლიან. ეს ტყეები დიდი სიმდიდრე არის მხოლოდ მომავალში და არა ეხლა. უწყება ყოველ ღონისძიებას ღებულობს რომ შემოსავალი გადიდდეს და თუ შევადარებთ წარსულ წლის შემოსავლებს დავინახავთ რომ შემოსავალი მატულობს. არ არის მართალი ის ცნობა თითქოს ჩვენ გვქონდა შემოსავალი 9 მილიონი მანეთი და გასავალი 24 მილიონი.

**მამულების მდგომარეობა.**

არც მამულების მდგომარეობა დახატა შენგელაიამ სწორედ. გვარის მამულის გაპარტახება მოხდა მაშინ, როდესაც მამულის პატრონი ჩვენ არ ვიყავით ბორჯომის მამული ეხლა მილიონებს აძლევს მთავრობას. რაც შეეხება კოჯორის მამულს, მართალია ის გაცემული 30 ათას მანეთად, მაგრამ ის ხომ აგარაკია და მხოლოდ 2 თვ. შეიძლება მისი სარგებლობა, ჩვენ წინედ ვცადეთ მოგვეწყო საკუთარი მეურნეობა ჩავიბარეთ მამული მაგრამ 45 ათასი მანეთი ვნახეთ ზარალი. ამის შემდეგ 30 ათას მანეთად გავეცით (კედია: აუქციონი მართლა არ ყოფილა?) აუქციონი არ ყოფილა რადგან უწყებას აქვს უფლება გასცეს აუქციონის გარეშე ზოგიერთი შემოსავლის წყარო. ჩვენ ამ უფლებით ვისარგებლეთ.

**საუფლისწულო მამულები.**

რაც შეეხება იმ საუფლისწულო მამულებს, სადაც უმთავრესად ღვინო მოდის, ისინი იმდენად მოძველებულნი არიან რომ უნდა შეუდგეთ ამ ვენახების გადაახლებას. ამით აიხსნება, რომ შემოსავალი ისეთი არ არის როგორიც ეს ძველად იყო.

**სოც. რევ. ფრაქცია.**

მე არ ვიტყვი, რომ ჩვენ მუშაობას ნაკლი არ ჰქონდეს. მაგრამ მის გამოსწორებას ჩვენ ვცდილობთ. შენგელაიამ კი თვისი სიტყვა იმით დაიწყო, რომ მიწადმოქმედების სამინისტრომ ყველაფერი აურდაურიაო. ასე სჩვევიათ სოციალისტ რევოლიუციონერთა ფრაქციას ყოველთვის რაზედაც არ უნდა იყოს ლაპარაკი მიწვდება სწორედ იმ უწყებას, რომელიც მას ფრთას კვეცს და მის იდეალებს არ ანხორციელებს.

## პეტ. გელეიშვილის სიტყვა

**მიწადმოქმედების სამინისტრომ ბევრი რამ გააკეთა.**

მე როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქემ უნდა განვაცხადო, რომ მიწადმოქმედების სამინისტრომ ბევრი რამ გააკეთა. ჩვენ ბევრი რამ ხელშემშლელი პირობები გველობებოდა წინ მაგრამ მაინც თითქმის ყველა დაბრკოლება დავძლიეთ.

შენგელაიამ ერთი ბოროტმოქმედების დასახელება ვერ შესძლო, სულ კი ბოროტმოქმედებაზე ლაპარაკობდა აქ. ილაპარაკა ბორჯომის მამულზე მაგრამ კი არ დაასახელა თუ რა ბოროტმოქმედება მოხდა. აქ, მაშინ როდესაც ყველაფერი ინგრეოდა ჩვენ მას მოუარეთ და აბრეშუმის ორ ფანჯრის ჩამოსაფარებლის გარდა არა დაკარგულა რა.

## შ. ნუცუბიძის სიტყვა

**ბუნებრივი კამათი.**

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციას ბუნებრივად მიაჩნია ის კამათი, რომელიც გაიმართა აქ მიწადმოქმედების სამინისტროს გარშემო. ბუნებრივად განხეთქილი კამათია. ამიტომ ჩვენი წინადადებაა ამ დეკრეტის განხილვა გადაიდოს მანამდის, სანამ ჩვენ მოვისმენთ სახელმწიფო კონტროლერის აზრს ამ სამინისტროს შესახებ.

**კონტროლერის ოთხი თვალი.**

მოგახსენებათ. რომ დამფუძნებელ კრებას ჰყავს თავისი კონტროლერი, რომელიც ანგარიშს უნდა აძლევდეს მას სამინისტროების მოქმედების შესახებ. იგი მთავრობას გვერდით უზის. ეს კი ასე არ უნდა იყოს სახელმწიფო კონტროლიერი უნდა იჯდეს აი აქ (უჩვენებს მთავრობის ლოჟის წინა ადგილზე) და ოთხის თვალით უნდა უყურებდეს მოქმედებას და მუშაობას. ჩვენ მოვითხოვთ განვახორციელოთ ჩვენი უფლება და მოვსთხოვოთ ჩვენს კონტროლიორს გამოვიდეს აქ ტრიბუნაზე და მოგვახსენოს სრული ანგარიში მიწადმოქმედების სამინისტროს მოქმედების შესახებ.

## ლეო შენგელაიას სიტყვა.

თქვენ ერთი რამეს შეამჩნევდით იმ ორატორებს, რომელნიც აქ ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდნენ მათ ვერ შესძლეს ვერც ერთი ჩემ მიერ წამოყენებულ დებულების გაბათილება.

**ბევრი რამ აბარია მიწადმოქმედების სამინისტროს**

ბევრი რამ აბარია მიწადმოქმედების სამინისტროს და თუ ის დაიქცა არც ჩვენს ქვეყანას დაადგება კარგი დღე ა აი სწორედ ეს გვალაპარაკებს ჩვენც.

**სუბიექტიური სიგლახე.**

მიწადმოქმედების მინისტრის გამოსვლა სრულიად დაუსაბუთებელი გამოსვლა იყო. ყველა ის ნაკლი რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ მან ტრაფარეტულ, ობიექტიურ პირობებით ახსნა, მაშინ როდესაც ეს ყველაფერი მის სუბიექტიურ სიგლახეს მიეწერება.

**11 თვის მუშაობა.**

მინისტრმა აქ განაცხადა მართლა 2 წელიწადია რაც მიწის რეფორმას ვატარებთ, მაგრამ ხნის განმავლობაში სულ 11 თვე ვმუშაობდით. ამის შემდეგ მას კიდევ აქვს გამბედაობა და ამ ტრიბუნიდან აცხადებს: ბევრი რამ გააკეთა მიწადმოქმედების სამინისტრომო. ყველაფერი ეს მიეწერება უილაჯობას, თორემ რა შუაშია აქ ომი და ანარქია. ჩვენ ქვეყანაში ყველა კუთხეებში ერთსა და იმავე დროს არ ყოფილა ანარქია, რომ მას ხელი შეეშალნა.

**თავმჯდომარე.** უკვე ორი საათია ინებებთ რომ ახლა შეკითხვაზე გადავიდეთ. (ხმები: დიახ!) მაშ ეხლა შეკითხვას მოვისმენთ.

სიტყვა ეკუთვნის მომარაგების მინისტრის ამხანაგს ი. ჭავჭანიძეს.

(დასასრული ხვალ).

---

# უცხოეთი

(საქ. დეპ. სააგ.)

**ერთა ლიგის ყრილობა**

სენატორ მაჯირიო ერარის წინადადების თანახმად ლონდონში გადასწყვიტეს, რომ ერთა ლიგის ყრილობა დანიშნონ რომში მარტისთვის. ფიქრობენ, რომ ამ ყრილობას 40 ერის წარმომადგენელი დაესწრობაო.

# ოსმალეთი

(საქ. დეპ. სააგ.)

**ოსმალეთის საკითხი კონფერენციაზე**

სამშაბათს ლონდონის კონფერენცია ოსმალეთის საკითხის გარჩევას შეუდგა. როგორც მილიერანმა „პტი პარიზიენის“ რედაქტორს განუმარტა კონფერენციაზე მიიღეს ის გადაწყვეტილება, რომელიც წინადახედული იყო და ამ გვარათ ლონდონმა და პარიზმა გაიმარჯვა. კონსტანტინოპოლში რჩება ოსმალეთის ბატონობა მაგრამ სრუტეს თავისუფლება კი უზრუნველყოფილი იქნება, ე. ი. მას დაიცავს მოკავშირეთა ჯარების ნაწილები. საკითხი მცირე აზიის შესახებ აიძრა, მაგრამ არ გადაუწყვეტიათ. ვენიზელოსს აქ კვირას ელიან. უამისოთ ძნელია ამ საკითხების გადაწყვეტა.

# რუსეთი

(საქ. დეპ. სააგ.).

**ბოლშევიკების სამხედრო ცნობა.**

არხანგელსკის რაიონში რკინის გზის მიმართულებით ჩვენი შეტევა კარგათ ვითარდება. ნარვის რაიონში ჩვენ მხარეზე 150 კაცი გადმოვიდა პიტალოვის და დრისის მიმართულებით ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა პოლოცკის რაიონში მტერმა ჩვენი ჯარი შეავიწროვა, მაგრამ დამხმარე ძალების მომატებით მდგომარეობა აღვადგინეთ. უკან დახევის დროს მტერმა სადგ. გირიანის მოსამსახურეები გაძარცვა. მოზირის კოროსტენის და ჟიტომირის რაიონში ადგილობრივ ხასიათის ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს. ტიროსპოლის რაიონში ჩვენი ნაწილები მტერს ავიწროვებს. პერეკოპის და სივაშის რაიონში მზვერავები მოქმედებენ.

**ლლოიდ-ჯორჯი საბჭოთა რუსეთის შესახებ.**

ინგლისის პრემიერმა ლლოიდ ჯორჯმა ქვემო პალატაში სთქვა: ევროპა ურუსეთოთ ვერ გაძლებს. საბჭოთა რუსეთზე ვერ გავიმარჯვებთ იარაღით განაპირა სახელმწიფოების დახმარებითაც კი. საფრანგეთს, ამერიკას და ინგლისს არ შეუძლია თავის თავზე მიიღონ ხარჯები რუსეთზე შესატევად დარჩა—ზავის შეკვრა.

# მთა

**თემირ-ხან-შურის ფრონტი**

კაზანიშჩაში, სადაც მეამბოხეთა შტაბი იმყოფება, თემირ-ხან-შურიდან დაღესტნის ოფიცერთა დელეგაცია გამოცხადდა. დელეგაციამ განაცხადა, რომ მოხალისეებმა თემირ-ხან-შურის ევაკუაცია მოახდინეს, ქალაქში მხოლოდ ჯარის ერთი ასეული იმყოფება და თუ ოფიცრების სიცოცხლის უზრუნველყოფის გარანტიას მოგვცემთ, მეამბოხეთ ქალაქში შემოგიშვებთ.

ასეთ წინადადებაზე მეამბოხეთ განაცხადეს, რომ ისინი არ შეეხებიან მათ ფიზიკურ არსებობას, თუ კი ხალილოვს, ტარკოვსკის და მაჰომედოვს გასცემენ, აგრეთვე მეამბოხეთ გადასცემენ იმ იარაღს, რომელიც ოსმალებმა დაღესტანში დასტოვეს.

**უთანხმოება კავკასიის კომუნისტებს შორის**

ბაქოში იმართება კავკასიის კომუნისტების თათბირები, სადაც მთიელთა საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებაზე ბჭობენ.

ამ საკითხის შესახებ მთიელ კომუნისტებსა და კომუნისტების საოლქო კომიტეტის შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. საოლქო კომიტეტის თბილისის ბიურო წინააღმდეგია მთიელ საბჭოთა რესპუბლიკის დაარსების, ბაქოს განყოფილების აზრი ამ საკითხზე თბილისის კომიტეტის აზრს ეწინააღმდეგება.

მთიელ კომუნისტებმა იწყინეს რა დამარცხება თბილისში, ბაქოში გადმოგზავრნენ, და იქიდან დაღესტანში წავლენ, თუ კი საკითხი მთიელთა რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ დადებითად გადაწყდება.

ამავე დროს მთიელ კომუნისტებმა გადასწყვიტეს უფრო უშუალო კავშირი იქონიონ ცენტრთან და საოლქო კომიტეტის მზრუნველობიდან განთავისუფლდნენ.

**მთიელთა ჯარები დარუბანდში.**

თებერვლის 5 დარუბანდი მთიელთა ჯარებმა დაიჭირეს. ქალაქის ქუჩებზე დიდი შეტაკებები იყო მოხალისენი მეტად დაზარალდნენ.

ისინი სადგურის მახლობლად გამაგრდნენ, ჯავშნიან მატარებლების საშუალებით. გემები ქალაქს არ უახლოვდებიან შორს მსროლელ ზარბაზნების შიშით.

**დარუბანდის ბედი**

„ვოლნი გორეც“-ს სარწმუნო წყაროებიდან ატყობინებენ, რომ ზოგიერთი გაზეთებში მოთავსებული ცნობა მოხალისეთა მიერ დარუბანდის სრულ ევაკუაციის შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კომუნისტებსა და ოსმალოთა აუცილებელი განხეთქილება დაღესტანში**

ასტრახანიდან დაღესტანში ჩამოვიდა შტაბით ტრუხაჩევსკის თანაშემწე, რომელიც ასტრახანის და ცარიცინის ფრონტზე საბჭოთა ჯარებს მთავარსარდლობდა.

მათ მოსთხოვეს ოსმალთ იარაღების ჩაბარება.

ამ ნიადაგზე კომუნისტებსა და ოსმალო ოფიცერთა შორის დიდ უკმაყოფილებამ იჩინა თავი, რომელიც შეიძლება სრულ განხეთქილებით დამთავრდეს.

**გიკალოს სიკვდილი**

გროზნიდან მოსული პირი იტყობინება მთიან საჩეჩნოში შავი სახადით გარდაიცვალა გიკალო, რომელიც თერგის საბჭოთა ჯარების მთავარსარდალი იყო.

გიკალო პროფესიით ფერშალი იყო, რომელმაც თავის ძლიერი ნებისყოფისა და გაბედულობის წყალობით, კომუნისტებში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა.

ჩრდილო-კავკასიის კომუნისტებისთვის გიკალოს დაკარგვა დიდი დანაკლისია.

**კომუნიზმი 3000 მანეთად.**

კუმუხში და დაღესტნის სხვა ადგილებში კომუნისტებმა ჯარების შედგენა დაიწყეს. თითეულს, ვინც ამ ჯარში ჩაეწერება, 3000 მანეთი ენიშნება.

# დავით კლდიაშვილის იუბილე

დავით კლდიაშვილს 30 წლის მოღვაწეობის იუბილე ქართველმა საზოგადოებამ ღირსეულად აღნიშნა კვირას 15 თებერვალს სახელმწიფო თეატრში.

**ზეიმის დაწყებამდე.**

საღამოს 7 საათზე სასტუმრო „ორიანტიდან" იუბილარი სახელმწ. თეატრში ავტომობილით წამოიყვანა ქართველ მწერალთა საბჭოს საგანგებო დელეგაციამ რომელშიც შედიოდნენ: საბჭოს თავმჯდ. კ. მაყაშვილი, ნ. შიუკაშვილი, შ. არაგვისპირელი და ვ. ბარნოვი.

კარის ბჭეში მას შეეგებნენ მწერალთა კავშირის საბჭოს და საიუბილეო კომისიის წევრნი და გააცილეს სცენაზე.

**ივ. გომართელის მოხსენება.**

თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. ივ. გომართელმა მოხსენება წაიკითხა დავით კლდიაშვილის შემოქმედების შესახებ.

**საზეიმო სხდომა.**

გომართლის მოხსენების შემდეგ საზეიმო სხდომა გაიხსნა. სცენის შუა ამართულ იყო იუბილარისთვის სავარძელი, მირთულ მაგიდით რომლის გვერდით გრძელ მაგიდებზე ალაგი ეჭირათ ყველა ქართველ მწერლებს უხუცესთ და ახალგაზდებს. მათ უკან საგანგებოდ ამართულ კათედრაზე ალაგი ეჭირათ სხვა და სხვა დელეგაციებს და რწმუნებულებს. სცენაზე დამსახურებულ მწერალთა თანხლებით გამოჩნდა ქალარა იუბილიარი. მთელი თეატრი, როგორც ერთი კაცი ფეხზე ადგომით და მქუხარე ტაშით შეეგება მას.

სახელმწიფო თეატრის ორკესტრმა შეასრულა „მრავალ ჟამიერ" რომელიც ხაჯერ იქმნა გამეორებული.

**ზეიმის გახსნა.**

საზეიმო სხდომას ხსნის მწერალთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. კ. მაყაშვილი რომელიც ულოცავს იუბილიარს.

სახელმწიფო თეატრის შეერთებული ორკესტრი და გუნდი ეროვნულ ჰიმნს ასრულებს.

**მისალმებანი.**

პირველი მისალმებითი სიტყვით დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის დავალებით მიმართა იუბილარს ივ. გომართელმა.

შ. დადიანი კითხულობს მისალმებას განათლების მინისტრის ამხანაგის და სამხედრო მინისტრისას. ამის შემდეგ ულოცავენ იუბილარს ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი; სახელმწიფო თეატრის კომისარი ალ. წუწუნავა და ქალ. კავშ. წარ. არჩ. ჯაჯანაშვილი.

წ.-კ. საზოგადოების წარმომადგენ. სამუსიკო საზოგადოებიდან კომპ. არაყიშვილი და ა. ახმეტელი, რომელიც მოახსენებს რომ გამგეობამ ამ დღის აღსანიშნავად მის სახელობის ორი სტიპენდია დანიშნა; ქართველ მიმღერალთა კავშირის წარმომადგენელი ვარლორთქიფანიძე სიმღერით ასრულებს ადრესს იუბილიარისას, გორის ერობისა და ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის მხრივ ალ. გარსევანიშვილი, ქუთაისის მეციხოვნეთა წარმომ. ი. ჩხეიძემ. გორის მეციხოვნეთა წარ. გენ. მიხელიძემ. ქართველ ქალთა საზოგ-ბისაგან ქ-ნ ბლიაძისამ და თამარ გოგოლაშვილმა, უნივერსიტეტის სტუდენტთა წრის წარმომადგენელმა და სახ. უნივ. სამეცნიერო წრის წარმომ. აბულაძემ, საქ. საისტორიო და საეთნ. საზ-ბისაგან ვახ. ღამბაშიძემ, ქართ. დრამ. საზ. აკ. ფაღავამ, რკინის გზელ უხუცეს მუშამ ლ. კაპრაშვილმა რომელმაც 3000 მანეთი გადასცა იუბილარს.

სახალხო უნივერსიტეტის მხრივ—ი. ირემაშვილმა, „სახალხო საქმის" რედაქციის მხრივ ვ. კოტეტიშვილმა, „საქ. რესპ." მ. გაბაშვილმა, ს. კარდინახის წარათაშვილის სახელობის წრის წარმომადგენელმა.

პოეტმა ქალმა სარრა გერშზონმა („მაია") რუსულ ენაზე საკუთარი ლექსი უძღვნა. და ბოლოს ი. მჭედლიშვილმა.

**დეპეშები.**

შ. დადიანი აცხადებს რომ ვინაიდან დრო ნებას არ იძლევა იმ აურაცხელ დეპეშების მოსმენა რომელიც მოვიდა პროვინციიდან მოუხერხებლად მიაჩნია და კითხულობს უმთავრესათ ზოგიერთებს, როგორც თბ. უნივერსიტეტის საბჭოსი, ერობათა კავშირის, ბათომის ეროვნულ საბჭოს, ქუთაისის დრამატ. საზ. გამგეობის სენაკის და გელათის წ.-კ. საზ. განყოფილების, სომეხთა მწერალთა საბჭოს თავმჯდომარის პოეტ ოვანეს თუმანიანის, ია ეკალაძის, დ. მეგრელის, გ. ლასხიშვილის, გრ. კლდიაშვილის და მრ. შემდეგ ვლ. მგელაძემ და პავლო იაშვილმა.

**იუბილიარის სიტყვა**

საზეიმო სხდომის დასასრულ სამადლობელ სიტყვას ამბობს ცრემლ მორეული იუბილარი: „ბატონებო გმადლობთ, გმადლობთ უსაზღვროდ, გმადლობთ. მე უკვე ვიყავი ბედნიერი მით რომ ძომიხდა შევსწრებოდი იმ ხანას და შევეგებებოდი იმ დროს როცა ჩემი მამული განთავისუფლებულია და ჩემს მშობელს ერს სცნობენ ხალხთა შორის თანასწორ უფლებიანს, იმ ერს რომელიც თავიდან ყოფილა კეთილის მსურველი ყველა სხვა ერებისადმი და მის გულში შური და მტრობა არავისადმი არა ყოფილა. მე მოხარული ვარ, რომ ამ ჩემ მშობელ ერმა იმდენი ძალა გამოიჩინა, რომ ეს პატარა კუთხე ჩვენი ძვირფასი საქართველო გადააქცია სამოთხეთ, სადაც მოდიან ყველანი თავშესაფარად. და როცა ვხედავ, რომ ეს ერი გამზადებულია სამუშაოდ იმ მიზნის მისაღწევათ, რომ ყოველ ადამიანს ამ კუთხისას ჰქონდეს მინიჭებული ბედნიერება, რომ სულ მუდამ ამაზე ზრუნავს და იმოსება სიყვარულით და ამ იდეას თავს ევლება—ამაზე მეტი ბედნიერება და სასიხარულო სხვა რაღა უნდა ყოფილიყო ჩემთვის. და ამ ბედნიერებას სხვა ბედნიერებაც დაემატა: დღეს ჩემი მშობელი ერი ზღაპრულად აღწერს ჩემს მოღვაწეობას და მაწერს ამას. არა, ბატონებო, მე შრომა მძიმე არ მიგრძვნია, ეს შრომა კი არა, ეს იყო ტკბილი საუბარი, რასაც ჩემზე ჰქონდა გავლენა. თუ რამეს ვლაპარაკობდი, ვხედავდი, ვწერავდი, თურმე მართალი ყოფილა. სულხანთი შოთა თვის ანდერძში ბრძანებს „სიყვარული აღვამაღლებ ო" და აი მე რომ ჩემი პატარა სიყვარულით მივდიოდი ყველასაკენ. სწორედ ეს პატარა სიყვარული მაჯილდოებს დღეს მე და მიმაფრენს ზეცისაკენ და ბედნიერად მიმაჩნია მე ჩემი თავი...

დამრჩენია მხოლოდ ისღა რომ ჩემს მშობელს ერს უძღვნა მადლობა. ვმადლობ ვმადლობ ჩემს მშვენიერ ერს, ქვითინით დაამთავრა ეს სიტყვები თვის მადლიერ ერის წინაშე მადლიანმა ქალარა მოხუცმა მამულიშვილმა

**წარმოდგენა.**

საზეიმო სხდომის დასრულების შემდეგ ქართველ მსახიობებმა წარმოადგინეს იუბილარის პიესები „უბედურება" და „დარისპანის გასაჭირი". წარმოდგენამ მეტად მწყობრად ჩაიარა და უმთავრეს როლების აღმსრულებელნი ნ. ჩხეიძე, ელ. ანდრონიკაშვილი ელ. ჩერქეზიშვილი ვ. ბრაბიძე საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა. წარმოდგენა საშუალამეის 1 საათზე დასრულდა და ძვირფასი იუბილარი, აღფრთოვანებულ ხალხმა „ვაშას" ძახილით მიაცილა მწერალთა კლუბ „ქიმერიონში" სადაც იუბილარის პატივსაცემად ბანკეტი გაიმართა.

**ბანკეტი.**

როცა გათავდა დღესასწაული იუბილიარი სხვა მწერლებთან ერთად ჩავიდა მწერალთა კლუბში „ქიმერიონში", სადაც მოწყობილი იყო ბანკეტი. გარდა მწერლებისა და პოეტებისა, ბანკეტს დაესწრნენ გარეშენიც, სჭარბობდენ სამხედრონი. ბანკეტის თამადად არჩეულ იქმნა შალვა დადიანი. ბანკეტს ინტიმიური ხასიათი ჰქონდა ბოლომდის. სიტყვები წარმოსთქვეს, ვასილ ბარნოვმა, ივანე გლიაშვილმა, ვახტანგ ღამბაშიძემ, ტიციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა. იუბილიარი ბანკეტზეც იღებდა მილოცვებს, მგძნობიარე იყო „ქიმერიონის" ოფიციანტების მიმართვა.

მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა პოლკ. ინწკირველმა. დავით კლდიაშვილის ბოლო სიტყვა ასეთივე გულწრფელი იყო, როგორც თეატრში.

დილის 6 საათზე ბანკეტი გათავდა, იუბილიარი ხელით მიიყვანეს მწერლებმა სასტუმრო „ორიანტში".

**ჩვენი გაზეთის მისალოცი დეპეშა.**

ჩვენმა რედაქციამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა იუბილიარს!

„გაზეთ „საქართველოს" რედაქცია გილოცავთ 30 წლის მოღვაწეობას, როგორც დიდ მწერალს და მაღალ პატრიოტს. თქვენი სახელით დიდხანს იამაყებს ქართული მწერლობა და საქართველო"

ჩვენი გაზეთის სახელზე აურაცხელი მისალოცი დეპეშები მოსდის იუბილიარს.

# ახალი ამბები

## ცენტრო. ბანკ.

დღეს დილის 10 საათიდან დაიწყება საქართველოს ყველა ბანკებში ხელის მოწერა და ფულის მიღება საქართველოს ცენტრალურ სავაჭრო სამრეწველო ბანკის აქციებზედ. ხელის მოწერა დასრულდება 20 თებ. 2 საათზე. აქციონერთა საზოგადო კრება ბანკის გამგეობის და საბჭოს წევრთა ასარჩევად დანიშნულია 29 თებერვალს 12 საათზე ცენტრო ბანკის ბინაზედ (თბილისი პუშკინის ქ. № 8.)

## დამფუძნებელ კრებაში

**სასოფლო სამეურნეო სამ სემესტრიან კურსების ოთხ სემესტრიანად გადაკეთება**

დამფ. კრების განათლების კომისიამ მოიწონა მიწათ-მოქმედების მინისტრის დეკრეტის პროექტი გან. სამინისტროს სასოფლო სამეურნეო სამ სემესტრიან კურსების ოთხ სემესტრიანად გადაკეთებისა და კურსდამთავრებულთათვის აგრონომის ხარისხის მინიჭებისათვის.

**10.000 მან. დამოუკიდებლობის ფონდისთვის**

როგორც ვიცით, დამფ. კრებამ დაადგინა დამოუკიდებლობის ფონდის შესაქმნელად გამოცხადდეს საყოველთაო ხელის მოწერა. ამ ფონდის გასაძლიერებლად ბათომის მოქალაქემ და საზოგადო მოღვაწემ მდოიანცმა დამფ. კრებას გამოუგზავნა 10.000 მ. და სალამის დეპეშა.

## სხვა და სხვა ამბები

**მეორე ქართულ კლუბში.**

მეორე ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭომ დაადგინა გაუმართოს იუბილე მწერლებს ვ. ბარნოვს დ. კლდიაშვილს და მსახიობ ნინო ჩხეიძეს.

**ჟურნალისტების ახალი საზოგადოება.**

არსდება ახალი საზოგადოება ჟურნალისტებისა, სახელად „საქართველოს ჟურნალისტების საზოგადოება". ინიციატორები არიან პ. სურგულაძე და დ. მ. დუმბაძე.

**კაპ. გრიგორაშვილის მოკვლა**

კვირას 15 თებერვალს თბილისის აეროდრომზე ჩხუბის დროს აკაკი კალანდარაშვილმა რევოლვერით მოკლა მფრინავი კაპიტანი გრიგორაშვილი.

**თბილისის მეპურეთა კრება.**

15 თებერვალს შესდგა თბილისის მეპურეთა საზოგადო კრება. კრებამ იქონია მსჯელობა, პურის სიძვირესთან დაკავშირებულ, სხვა და სხვა საკითხების შესახებ და დაადგინა იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს, რომ სულადის ყიდვის ნება პროვინციებში ჰქონდეთ მხოლოდ მეპურეებს, რათა თავიდან აცილებულ იქმნეს სპეკულიანტების თავხედობა.

**იტალიის სამოქალაქო მისსიის ჩამოსვლა**

გუშინ თბილისს ჩამოვიდა იტალიის სამოქალაქო მისსია სენატორ კონტის მეთაურობით.

**მეთამბაქოთა ყრილობა**

15 თებერვალს, კვირას, დილის 11 საათზე სასოფლო სამეურნეო სა-ში შესდგა საქართველოს მეთამბაქოთა ყრილობა: ყრილობის თავმჯდომარეთ აირჩიეს ბ. გ. დ. ჟურული. ამხანაგებათ ბ.ბ. ტ. ძარგველაშვილი, სეილანოვი და სხ. მდივნებათ: კ. პერეკაშვილი, ს. ჩოლოყაშვილი და სხ. მილეულ იქმნა სხ. და სხ. დეპეშები. ყრილობის შემდეგი სხდომა მიხდება ხუთშაბათს, 19 თებერვალს, ქალაქის გამგეობაში დილის 10 საათზე.

**მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა ჯგუფის ბანკეტი.**

23 თებერვალს „ვალენტინის" დღეს მოსკოვის კომერც. ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა ჯგუფი, ინსტიტუტის დღეობის აღსანიშნავად, მართავს ბანკეტს... მსურველს შეუძლია მიმართოს პირობების გასაგებათ სტუდენტ კოწია ლორთქიფანიძეს კაფე „დარბაზში" 2-4 ს.

## საზო—ნი და კრებანი.

**ახალი წიგნები:**

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიებში. ამავე საზოგადოების მიერ გამოცემული: 1) ქართველი მწერლები, 1 ნაწ. ივ. გომელაურისა. 2) რუხი მგელი, გ. წერეთლისა იბეჭდება და მოკლე ხან-ში გამოვა 1) დ. კლდიაშვილის მოთხრობები 1 ტომი. 2) მამიდა ასმათი გ. წერეთლისა, 3) ახალი ტალღები, მოთხ' ზოტიკესი. 4) აბდულ-მესიანი, ივ. ზაქთელისა. 5) როგორ ცხოვრობდნენ ძველად ადამიანები კუდრიავსკისა, თარგმ. ის. კვიცარიძისა. 6) კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკი გ. წერეთლისა.

**წერა-კითხვის საზოგადოების შუამდგომლობა 5 მილ. მანეთის სესხის შესახებ.**

მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ დაავალა სახ. გან. მინისტრის ამხანაგ გ. ცინცაძეს, გააკეთოს მთავრობაში მოხსენება, წერა-კითხვის საზოგადოების მიერ აღძრულ შუამდგომლობისა 5 მილიონ სესხის ძიცემის შესახებ წიგნების გამოცემის საჭიროებისათვის. გ. ცინცაძემ შეადგინა მოხსენება, რომელიც დასკვნისათვის გადაეცა სახელმწიფო კონტროლს.

## სამხატრო. ქრონიკა

**ზ. ფალიაშვილის მოწვევა.**

ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოიწვიოს ზ. ფალიაშვილი კაპელის დირიჟორად.

**სახელმწიფო კაპელლა.**

კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის მეთაურობით არსდება სახელმწიფო კაპელლა.

**ვიქ. პეტიპას დახვრეტა.**

ხარკოვში ბოლშევიკებმა დახვრიტეს ცნობილი რუსის მსახიობი ვიქ. პეტიპა.

**ქართული დრამა.**

მომავალ სეზონისთვის შესდგება ქართულ დიდი დრამატიული დასი, რომელიც დაბინავდება არტისტიულ საზოგადოების თეატრში.

## სამ. ნისტროებში

**ლომინაძის საქმე.**

ამ დღეებში თბილისის საგანგებო სასამართლომ გაარჩია ქუთაისის მაზრის ტყეების ზედამხედველის ბ-ნ ლომინაძისა, რომელსაც ბრალსა სდებდა მიწად-მოქმედების სამინისტრო სახელმწიფო ხაზინის საზიანო მოქმედებაში და ქრთამების აღებაში. ბრალსა სდებდა ნაფიცი ვექილი ჩერქეზიშვილი. იცავდა შ. მესხიშვილი. სასამართლომ ბრალდებული გაამართლა.

**გალაკტიონ ტაბიძის საღამო.**

მოკლე ხანში სახელმწიფო თეატრში გაიმართება პოეტ გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

# თეატრი

**დღეს:**

სახელმწიფო თეატრი „სევდიანი დილაქი" და „ალეკო".

„ტარტოს" დრამა „კორწინების საიდუმლოებანი".

# ნავთი და ევროპა

ქვანახშირის სიმწირით გამოწვეულ მძიმე ეკონომიურ კრიზისმა, პირისპირ დაუყენა საფრანგეთის მრეწველობას ქვანახშირის მაგიერ თხიერ სათბობ მასალის ხმარების საკითხი. ქვანახშირის თხიერ სათბობით შეცვლის საკითხი პარლამენტალურ კამათის საგნადაც ყოფილა. მისი მხურვალე მომხრე იყო მრეწველობის აღმდგენი მინისტრი.

„Temps" ამ საკითხს შემდეგს წერილს უძღვნის: „რამდენიმე კვირის წინ თხიერ და მაგარ სათბობის გენერალ კომისარმა ჰანრი ბერნემ, მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარისა, სენის დეპარტამენტის პრეფექტთან და ტრანსპორტთა მთავარ უფროსის გენერალ ჰასსენთან შეთანხმებით, აღნიშნა რომ აუცილებელია მსხვილ სამრეწველო წარმოებებმა და საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა ქვანახშირის მაგიერ მძიმე ნავთი უნდა გამოიყენონო. ამ მიზნით იგი შეუდგა გათბობის პროგრამის შემუშავებას. უკვე დაიწყეს პრაქტიკული ასრულება ამ პროგრამისა. უკვე მიმართეს მრავალგზის ცდას პარიზის წყალსადენ სადგურებზე მიწის ქვეშ მოძრავ რკინის გზაზე და ქალაქისათვის ელექტრონის ენერგიის მიმწვდენ სადგურებზე. რკინის გზებზე ნავთით გათბობამ მშვენიერი შედეგი მისცა. ორთქლმავალთა განსაზღვრულ რიცხვს უპირებენ სათანადო გადაკეთებას, რომ ნავთით გაათბონ.

ეს სამრეწველო ევოლუცია ეხლა უნდა გამოყენებულ იქნას რამდენადაც კი ეს შესაძლებელია. მის აუცილებლობას გვიკარნახებს ის გარემოება, რომ ქვანახშირის სიძვირეს მსოფლიო ხასიათი ეძლევა. ამის გარდა ნავთის ხმარებას აქვს მრავალი უპირატესობანი, როგორიცაა: მცირე მუშების საჭიროება, ხმარების და მიღების სიადვილე, სათბობ ენერგიის მამოძრავებელ ძალის სიხშირე, ვიდრე ამას იძლევა ქვანახშირი.

ეს თანდათანი გარდაქმნა ყველგან ეკონომიურ რევოლუციას გამოიწვევს. მართლაც ლონდონში იქითა მხარეს, ჩვენს მეზობლებისათვის საზღვაო სალი ასსპორტო საქმე ეროვნული ღირსებით. თვით ის უპირატესობათა რიცხვი, რომელიც აქვს ნავთს, ამ სათბობს მეტად გამოსადეგს ხდის ნაოსნობისათვის; მისი გამოყენება უკვე ფართოდ დაწყებულია სამხედრო ფლოტზე და მალე კომერციულ გემებზეც იქნება შემოღებული. ინგლისის საზღვაო ძლიერება დამყარებული იყო ხამშირზე არა მარტო იმიტომ მის გემებს შეეძლოთ უზრუნველ ეყოთ თავისი-თავი საუკეთესო სათბობ მასალით, არამედ იმიტომაც, რომ ხახშირის გაზიდვა ყველა ქვეყნებში ინგლისის გემებს უზრუნველსაყოფ გასაზიდ ფრახტს აძლევდა. ეს აძლევდა მათ საშუალებას, რომ უკან დაბრუნებისას შეეძინათ ყოველგვარი საქონელი კონკურენციის გარეშე.

ეს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვლება იმისდა მიხედვით, რაც ინგლისს და უცხო სახელმწიფოთა ფლოტები ნავთის გათბობაზე გადავლენ. თვით ინგლისის მთავრობა ნავთის საკითხებს დიდ ყურადღებას აქცევს.

მსოფლიო ომის დაწყებისას ნავთის მსოფლიო ბაზარზე ბატონობდა, ხშირად ერთი ერთმანეთთან მებრძოლი 2 დიდი ტრესტი: ერთის მხრივ „სტანდარდ ოილ და ამხანაგობა", რომლის კონტროლის ქვეშ იყო მთელი შეერთებულ შტატების ნავთი, და მეორის მხრივ—ინგლისური კამპანია „შელლი" და ხიდერლანდის „ჰოლანდიის სამეფო ამხანაგობა", რომლებიც სოლიდარულად მოქმედებდნენ და დაინტერესებულნი იყვნენ ნავთის მრეწველობით.

ამ ჟამად ინგლისის მთავრობა ფიქრობს, რომ უკვე შეუძლებელია ეროვნულ ინტერესები ტრესტების კონკურენციის შემთხვევაზე მინებება. მან გადასწყვიტა მომავალში ამ დარგის კერძო ინიციატივის ფართო დახმარება გაუწიოს. ძნელი გადასაწყვეტია, თუ რა ხასიათისაა ის შეთანხმება, რომელიც მოხდა ინგლისის მთავრობასა და „შელლ-"ისა და „ჰოლანდიის სამეფო" კამპანიათა შორის, მაგრამ ცხადია, რომ ასეთი შეთანხმება განხორციელდა. მართლაც და სადაც კი ეს ტრესტი მოქმედობს, მის გვერდით ყველგან დიდ-ბრიტანეთის მთავრობის გავლენა ეტყობა. მაგალითი: 1918 წლიდან როდესაც ტრესტმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო „მექსიკის იგლლინის ამხანაგობა"-ს საქმეში, ინგლისის მთავრობა დაუყონებლივ შეუდგა ამ საზოგადოების მიერ ომის დროს დაკარგულ ტონნაჟის აღდგენას.

ამ ჟამად ინგლისი, როგორც სახელმწიფო მხურვალე მონაწილეობას იღებს სამს ძლიერ ნავთის მრეწველ-საზოგადოების დაარსებასა და განვითარებაში. ეს საზოგადოებები გარდაიქმნებიან დიდ სინდიკატებად, რომლებიც შესძლებენ საკუთარ საშუალებებით უზრუნველ-ჰყონ ნავთის მრეწველობის ყველა მოთხოვნილებანი: ნავთის მიღება, ტრანსპორტი და ნავთის გაყიდვა.

ეს საზოგადოებები შემდეგია:

**1. ინგლისურ-სპარსული ნავთის საზოგადოება.**

როგორც გვარწმუნებენ სპარსეთში ამ საზოგადოების მიერ დასამუშავებლად აღმოჩენილია დიდძალი ნავთი. საზოგადოება ემორჩილება „შელლ-სამეფოს ამხანაგობათა" კანტროლს. ინგლისის მთავრობა ამ წარმოებაში აქციონერად შევიდა. მან გამოიღო ამისათვის ორი მილიონი ახალი ჩვეულებრივი აქცია, ერთი მილიონი პრივილეგიური აქციაზედ და 190 მილ. გირვანქა სტერლინგი ობლიგაცია.

ამ საზოგადოებას, თანახმად ინგლისისა და სპარსეთის მთავრობათა შორის დადებულ ხელშეკრულობისა, უფლება აქვს დაიმუშავოს სამხრეთ-სპარსეთის მოზრდილი ოლქი რომელიც 225.000 ჰექტარს უდრის. ნავთის გადმოსაზიდავად ინგლისში არსდება საზღვაო ტრანსპორტთა საზოგადოება, რომელსაც იმდენი გადმოსაზიდი ჭურჭელი ექნება, რომ კვირაში 4 გზის გასაკეთებლად ეყოფა. ნავთის მიმღებ პორტად დანიშნულია სვანსი, ამ ჟამად რამდენიმე ათასი მუშა აუზების და ნავთის გადამცემ ქარხნების აშენებაზე მუშაობენ.

**2. „მექსიკის იგლ ოილის კომპანია".**

1918 წლიდან ამ მსხვილ წარმოებას სათავეში უდგია „შელ-ჰოლანდიის" ტრესტი მექსიკის პორტებში შენდება ახალი აუზები და ფართოვდება ნავთის გადამცემელი ქარხნები.

დაარსდა საგანგებო ფილიალური საზოგადოება, რომელიც იზრუნებს ნავთის სადენთა ქსელის გაფართოებაზე.

იმ საზოგადოებას, რომლის ხელშიც იქნება ტრანსპორტი ინგლისის მთავრობა დაუთმობს გერმანიიდან მიღებულ ნავთის ჩასასხმელ გემებს.

მესამე ფილიალური დაწესებულება გაყიდვას იკისრებს.

**„ბრიტიშ კონტრ დლიდ ოილფილდს ლიმიტედ**

ამ საზოგადოების დაარსება ამერიკაში ხდება ინგლისის მთავრობის პირდაპირის დახმარებით.

ინგლისის მთავრობა ამით არ კმაყოფილდება. იმის გარდა რომ იგი დაუღალავად ზვერავს ვენეცუელის, ნიდერლანდიის, ინდოეთის, ეგვიპტეს, ცეილონის, უალის კუნძულების, ჩინეთის შუამდინარის მონდურსის, კოსტარიკას, და კოლუმბიის ნავთს მთავრობა თავგამოდებით სცდილობს რომ რუმინეთის ნავთიანი რაიონები შეიძინოს. ამ მიზნით მან უკვე გაგზავნა თემთა პალატის ერთი წევრთაგანი ამ ჟამად „შელლ სამეფოს" უკვე აქვს საკმარისი აქტები კავკასიის ნავთის საზოგადოებებში. დასასრულ „ტან" დასძენს: ჩვენთვისაც აუცილებელია რომ ახლო მომავალში ჩვენ შევუთანხმდეთ იმ მწარმოებლებს, რომლებიც ჯერ კიდევ დამოუკიდებელი არიან. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა ფართე ასპარეზი იხსნება ჩვენ ვაჭრებისათვის რუსეთში და კერძოდ ჩრდილო-კავკასიაში. ნუ თუ ჩვენ კიდევ იმდენს ხანს მოვიცდით, რომ იქაც არ გაგვასწრებს მოკავშირე და შესაძლოა მტრულ სახელმწიფოთა გავლენა?.

# კიდევ ერთი რეკვიზიცია

მეტად მრავალია უკანონო რეკვიზიციის მაგალითები მაგრამ არც სენაკის მაზრის ერობა ჩამორჩა ვისმეს ამ უკანონობაში.

სოფელ ტალიის მცხოვრებმა პავლე ნაჭყებიამ სამეგრელოს ტყეში (ლებადის საგარაკოში) 1919 წელს მაისის რიცხვებში აილო ტყის გამგისაგან წაქცეული ფიჭვის საყარე ხეები. ამავე დროს მან იყიდა კურზუს ერობისაგან სამი ძირი მოჭრილი ხე, რომელიც მათ ჰქონდათ ნაყიდი კანონიერის ბილეთებით. მანვე შეიძინა 6 ძირ მოჭრილი ხე ბერულავებისაგან. ხსენებულ პირებს ეს ხეები ამავე კურზუს ერობისაგან ჰქონდათ აღებული. ეს ხეები და აგრეთვე წაქცეული ფიჭვები ნაჭყებიამ დაამუშავა ტყის დარაჯის თანადასწრებით.

ამასთან ერთად ამავე ტყეში მუშაობდნენ სხვებიც: მათ შორის რაჟდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიქვანის და იოსებ ნაჭყეპის. მათ ჰქონდათ ნაყიდი ახალი ხეები. ამ გვარად ტყეში შემზადებული ხეები ტყის გამგისგან მოჩენილ დარაჯის თანდასწრებით ხსენებულ პირებმა ტივურით 50 ვერსზე ჩამოიტანეს თავიანთ სოფელ ტალიაში და აქ გაყვე'. პავლე ნაჭყეპიას და რაჟდენ ჩიქვანიას ერგოთ 2250 მესერი ხოლო იოსებ ნაჭყეპიას 1800. პავლე ნაჭყეპიამ თავის მიერ დამუშავებული საყავრე ხეები სენაკს ამოიტანა. აქ სამაზრო ერობამ პავლე ნაჭყეპიამ ხსენებული ხეები ჩამოართო, მიუხედავად იმისა, რომ პავლე ნაჭყეპიას წარუდგინა ყველა საბუთები, იგი მაინც ცარიელი დასვეს. ერობამ მიზეზად ის მოუდო, რომ მის მესრებში ახლად მოჭრილი ხის მესრებიც ერია. ნაჭყეპიამ ბევრი უმტკიცა, რომ სულ ადვილი შესაძლებელი იყო მის მესრებში რამდენიმე ახალი მესერი შერეულიყო ამხანაგებისა, მაგრამ ერობამ ეს არ შეიწყნარა და ერთიანად ჩამოართო როგორც ახალი ხის ისე ძველ ფიჭვის ხის მესრები.

## ბიბლიოგრაფიული ეტიუდები

I. პროფ. გ. ახვლედიანი. „რუსული ენის გრამატიკა უმაღლეს დაწყ. სკოლებისათვის“ (ფონეტიკა და მორფოლოგია), 1919 წ.-ქ. გამ. საზოგად. გამოცემა. გვ. 140.

დასახელებული წიგნი სავსებით აკმაყოფილებს საქ. საშუალო სასწავლებელთა მოთხოვნილებას. ეს პირველი ცდაა—ქართულად რუსული ენის გრამატიკის დაწერისა, თუ არ ჩავთვლით იაკ. გოგებაშვილის ეტიუდსა: «Очеркъ сравнит. гр. Груз. и русскаго языковъ», 1898, სადაც ქართულის მაგალითები მრავლად მოიპოვება და დაპირდაპირებულია რუსულთან. გ. ახვლედიანის წიგნი—კარგის ენით დაწერილი, მარტივად და მოკლედ აცნობს მოწაფეს რუსულ ბგერათა ხასიათს. წიგნის პირველ ნაწილში (ფონეტიკა, გვ. 3—15) და რუსულ სიტყვათა ფორმებს. წიგნის მეორე ნაწილში (მორფოლოგია, 16—120). უპირველეს ყოვლისა მისაღებია და საგულისხმო წიგნი ტერმინების მხრივ: მჟღერი ბგერა (звонкій-), წყვილბაგის მიერნი თანხმოვანები (губо-губные—), ხშული თანხმოვანები (смычные—), მიუყვებული თანხმ. (мгновенные—), წინაენის მიერი (пер.-яз.), სისინა (свистящ.), შიშინა (шипящ.), ცხვირისმიერი (носовой)*) მერყევი ბგერა (колебл. гл.), ბრუნვა (падежьи). **) ვითარებითი ზედსართ. სახ. (качеств. им. пр.), დამოკიდებითნი (относит.), მიმოხრა (спряженіе=აგრეთვე ულლილებასა გვ. 133), გვარი валогъ (наклоненіе-ს) „კილოს“ მაგიერ უფრო მოუხდება „გადახრილობა“, რადგანაც კილო სჯობია დარჩეს მცნებისათვის—„нарѣчіе“, ლინგვ., მაგ. ზუგდ. კილო მეგრული ენისა. რუსულ ენაში ეს სიტყვა კილოსაც ნიშნავს და ზმნისართსაც. ეს ნაკლულევანება რუს. ენისა, რაკი ეს შესაძლებელია, ავაცილოთ ქართულსა; ამნაირად ითქმის: ნატვრითი გადახრა—сослагат. наклон., განუსაზღვრელი გადახრა“ ან, რაც იგივეა, „განუსაზღვრელი ფორმა“ неопред. накл; Н. форма, იხ. გვ. 78 მიმღეობა (причастіе) და მრ. სხ.

*) Плавные согл. (р, л) წოდებულია „მდინარი თანხმოვანებად“ (გვ. 10)—სჯობს კი, ჩვ. აზრით, ნარნარა თანხმოვანები.

**) „Склоненіе“-სთვის კი აჯობებდა—ბრუნვება (შეად. „იბრუნვის“, გვ. 10₄. 32₁₁, 44₁₆, 37₂₃ და შ.)—„ბრუნების“ მაგიერ (გვ. 20, 21, 22 და შ.); ამნაირად: „აბრუნვეთ“ და არა „აბრუნეთ“ (გვ. 27, 30 და სხ.). ბრუნვება =აგრეთვე კანკლედობას. შ. ბ.

კარგადაა ახსნილი კავშირთა განსაზღვრა და წარმოება (გვ. 111—112), მაგრამ უკეთესს იზამდა ავტორი, —„განმეორებითი კავშირების“ მიხედვით, აღენიშნა ხასიათი, ელფერი სხ. და სხ. კავშირთა რუსულ ენაში, რაც გააადვილებდა მოწაფეთ საკითხის შეგნებასაა. მაგ., союзы противительные, წინააღმდეგობითი (но მაგრამ), условные—პირობითი (если, თუ) და სხვ.

კარგი, მარტივი მაგალითები ხელს უწყობენ წიგნის პოპულიარობას, მაგ. სიტ.—„по-куп-шик-у“ (გვ. 114)—ოთხ ახალ საგრამატიკო ცნებას შეაგნებინებს მოწაფესა (პრეფ.+ძირი+სუფფ.+ფლექსია). ავტორი, სამართლიანად მიჰმართავს ადვილის შემდეგ ძნელსა. „ფუძე“-ს შეგნებას აადვილებს წინა § (გვ. 113—114). „ფუძე“ (основа—ჯამია პრეფ.—ძირი—სუფფიქსისა, მაგრამ თუ სიტყვა პრეფიქსო და უსუფიქსოა, მაშინ აშკარაა „ძირის“—„ფუძესთან“ იგივეობა (მაგ.: „домъ“, „садъ“, გვ. 115).

„პირველადი“, „მეორედი“ (ანუ „ნაწარმოები“—производныя), „რთული“ სახელები და სუფიქსები კარგად არ-არ განმარტებულნი და მრავალი მაგალითებით ცხად-ყოფილნი.

ერთს შემთხვევაში აღნიშნულია ადგილობრივი ეკვივალენტი (გვ. 118, Марѳушка, იმერ. მართა-ია*) და ასეთი მაგალითები რაც მეტი იქნება შემდეგში—მით უკეთესი.

წიგნს თან აქვს დართული „საგნობრივი საძიებელი (121—29)—რაც აადვილებს ორიენტაციას. „დამატებაში“ (გვ. 130—32) მოკლედ აღნიშნულია, თუ რაში მდგომარეობს განმარტივებული რუსული მართლწერა. შენიშვნაში (გვ. 130), სამართლიანად, მოხსენებულია: „Постановленія совѣщанія по вопросу объ упрощеніи русск. правопис., прин. 11 мая 917 г.“ და არ იქნებოდა ზედმეტი, რადგანაც საკითხს აქვს თავისი ისტორია, მედაგოგთათვის საინტერესო, მოეყვანა ბიბლიოგრაფია რუსულ ორთოგრაფიის (აქითხისა*).

*) წიგნში, ალბად შემთხვევით, ამ სიტყვის სუფიქსი არ არის განცალკევებული,

*) Проф. П. Сакулинъ „Нов. Р. правоп.“, М. 1917, მისივე „Важный шагъ“ (Р. Вѣ., 917, № 123) „Ореографич. страхи“ (ibid. № 147), Никол. Морозовъ—„Къ реф. рус. орфографіи“ (ib. № 127), В. Соколовъ „Упрощеніе правоп.“, М., 917, Пр.-доц. Д. Ушаковъ—„Нов прав.“, 1917, СПБ., В. Богдановъ—„Кодексъ обновленной орѳогр.“, 1918, СПБ., А. Миртовъ—„Новое правопис.“, 1918, Кіевъ, და სხვა. ძველ ნაწერებიდგან: Проф. Романъ Брандтъ—„О лженаучности р. правоп.“, 1901, Вор., Проф. А. Томсонъ—„Къ теоріи правопис.“, Од., 903, В. Чернышевъ — „Историч. очеркъ упрощенія р. прав.“, СПБ., 1912 და სხვ. შ. ბ.

უკანასკნელ თავში — „ხელმძღვანელის საყურადღებოთ“ (გვ. 133—35) ავტორი იძლევა პედაგოგთათვის დარიგებასა, სწორი გამოთქმის შეთვისების აუცილებლობისას მოწაფეთა მიერ, ახალი მართლწერის თანდათან შემოღებისას და სხ.

წიგნში უხვადაა გაბნეული „შენიშვნების“ სახელწოდებით მოკლე განმარტებები რუსული ენის დამახასიათებელ მხარეთა, რაც აადვილებს საგნის შეთვისებასა, ასეთია შენ-ბი: 18, 19, 21 და სხ. გვ. გვ—სა. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს „შენიშვნები შეიცავენ „განსაკუთრებით“ ყურსადებ ცნობებსა (გვ. 133, § 5).

წიგნი სუფთადაა გამოცემული, მხოლოდ ზოგიერთი გვ.გვ. ბუნდოვანია (65, 68, 77, 80), ფასი (15 მ.)—დროების შესაფერია.

II ხომლელი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო“, 1920 გვ. 70, ფ. 21 მ.

გ. ხომლელის წიგნი უფრო განცვიფრებაში მოიყვანს მკითხველს, ვიდრე აგრძნობიებს რაიმე კმაყოფილებასა განცვიფრებაში მოიყვანს, რომ ასეთ დროს ძვირადღირებ გმირობა ჩაუდენია ავტორს და დაუსტამბავს ის, რაც კარგი ხანია იცის მე-4-ე კლ. უკანასკნელმა მოწაფემაც კი. ავტორი წინასიტყვაობასაც კი გაურბის, თითქოს არ უნდა გვამცნოსო, ხომ მისი წიგნი—გამეორებაა, მცირე, უმნიშვნელო გამონაკლისით, ამავე სახელწოდებით დაბეჭდილ მისი წერილებისა („კვალი“ 1897). მხოლოდ შენიშვნაში (37 გვ.) „აბელნიერებს“ მერმეს ასეთი ცნობითა.

კმაყოფილებას ვერ აგრძნობინებს, რადგანაც მთელი წიგნი რაიმე ანალიზის მაგიერ წარმოადგენს ცნობილ პოეტის ლექსებიდან ამონაწერსა (ზოგჯერ ისიც შეცდომით. იხ. გვ. 38-42 და შ. რა და რა მასალებიდან გნებავთ, რომ აქ ამონაწერი არ იყოს. „Батумскія Вѣсти“-ც კი ამშვენებს ერთ-ერთ შენიშვნასა (გვ. 62).

ავტორი დახელოვნებულია ციტატების ამოწერაში და საკრიტიკო უნარს ვერ იჩენს იქ, სადაც ეს უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ მას.

წიგნის მე-45 გვ., შენ-ში დამახინჯებულად მოჰყავს მიცკევიჩის „ფარისის“ უკანასკნელი სიტყვები.

ფორმა, ჩონჩხი „მერანისა“ პოლონელი მწერლისაა, მაგრამ მას ქართველმა—პოეტმა ეროვნული სული შთაბერა, სიუჟეტი დაიმუშავა სრულიად დამოუკიდებლად.

არ იქნებოდა ზედმეტი წიგნის ბოლოში მოეყვანა ავტორს ნ. ბარათაშვილის ბიბლიოგრაფია, წარმოშობილი მისი დაბად. 100 წლის იუბილეით 1916 წ.).

ასეთ პირობებში რამდენად სამართლიანია ავტორის განცვიფრება ქართული ლიტერატურის შესწავლის უსისტემობასა და სხ. (გვ. 61, შენ.) განსაჯოს მკითხველმა.

წიგნს სარჩევიც არა აქვს დართული და ღირს 21 მანეთი.

შ. ბერიძე.

რედაქტორი „სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

# სამნი

(სურათი)

მდიდრულად მოწყობილი სასტუმრო ოთახში, რომლის მორთულობას ნათლად ეტყობა, რომ როგორც პირადი სიამოვნებისათვის, ისე სტუმრის თვალისა და გულის გასახარებლად სახლის პატრონს არც ჭკუა და ნიჭი და არც ხარჯი და დრო არ დაუზოგებია, რადა საცხოვრებლად ლამაზი და სუფთა გალია შეექმნა, გახურებულ ბუხრის წინ, ხავერდის პატარა ბალიშებით და მუთაქებით მორთულ ტახტზე წამოწოლილა თვით გალიის ბინადარი, ახალგაზრდა, კოხტა თვალ-ტანადი ქალი და ცოცხალი, ეშმაკური თვალებით ხან მოგიზგიზე ცეცხლს შესცქერის, ხან მის გვერდზე, რბილ სავარძელში თავისუფლად გადაწოლილს, ლამაზი სახის ყმაწვილ ინჟენერს, რომელსაც ფეხი ფეხზე გადაუდვამს, კისერი მხრებში ჩაუწევია და პაპიროზის ბოლში მთლად გახვეული, შეყვარებულსა, აღგზნებულს თვალს დიასახლისს არ აშორებს.

კარში საძაგელი ამინდია. გამძვინვარებული, გაგულისებული ქარი სახლის სქელ კედლებს მძლავრად ეხეთქება. დარაბებ მიხურულ ფანჯრებს თოვლსა და წვიმას აყრის და თითქოს განრისხებული და გაავებული, რომ მის ბოროტ ძალას წინ ელობებიან, სიმწრითა ბზუის და მედგრად მიჰქრის და ეძებს ატალახებულ ქუჩებში მოსიარულე და ფირფიტა შენობებში მიკუჟულ ღარიბს ხალხს.

ოთახში კი მყუდროებაა. ჭერის შუაგულში ჩამოკიდებული ელექტრონის ძვირფასი ჩირაღდანი ცისფერი შუშებით როგორც ზამთრის მთვარე მიძინებულ ჰარე-მარეს, ყოველ კუთხეში გაბნეულს, სხვა და სხვა სიდიდისა და ფორმის რბილ საჯდომებსა, საწოლებსა, მაგიდებს და სხ. ძვირფასს ავეჯეულობას ცივად დაჰყურებს და მკრთალსა და უგულოჭნათელსა ჰფენს.

ბუხარში ცეცხლი, ჯერ არ მოღონიერებულა და დიასახლისს, ცოტა არ იყოს, სცივა. გულ-ღია და განიერ სახელიან აბრეშუმის პენუარში იბუზება, ძვირფასს ბეწვებით აკინძულ ბუაში ეხვევა და, იმდენად სიცივისა არა, რამდენად კეკლუცობის გამო, მხრებით ოდნავ ცახცახებს და ნაზად ჩურჩულებს:

— უჰ, ცივა!

ინჟინრის ფორმის ტანისამოსში გამოწყობილი ყმაწვილი კაცი ხმას არ იღებს. მას ნათლად წარმოდგენილი აქვს გარედ მძვინვარე ამინდი, ცივი ქარი, ტალახი, სინესტე და ეს მყუდროება, სისუფთავე, ანთებული ბუხარი და ტახტზე კოხტად წამოწოლილი ლამაზი, ახალგაზრდა დიასახლისი მის ნორჩს გულს ტკბილად აღელვებს, მთელს ტანში საამური სითბო უვლის და მოხიბლული, მოჯადოებული გარინდულა, გაყუჩებულა.

დიასახლისის ყმაწვილის გულის განცდას კარგად ჰხედავს გრძნებანი, რომელნიც ყმაწვილ კაცს აღელვებენ, ქალსაც აღელვებენ. ეშმაკურად იღიმება და კეკლუცად ენას უყოფს. შემდეგ ამაღლებული, არა ნორმალური ხმით ეუბნევა:

— ბატონო ალექსანდრე! რატომ არ გინდათ, დაწვრილებით მიამბოთ, ეს სამი დღე სად იყავით, რა ნახეთ, რა გაიგონეთ? ყველა ეს ძალიან საინტერესოა. აბა, მოჰყევით, ყურს გიგდებთ!—შემდეგ ოდნავ გასაგონი ხმით უმატებს:

— ანგრე არ შეიძლება! ხმა ამოიღე, რას გაჩუმებულხარ?—და კაბინეტის ღია კარზე უჩვენებს, სადაც მისი ქმარი ხოლო ყმაწვილი კაცის უმფროსი, მაგიდას მისჯდომია და მეცადინეობს.

კაბინეტის კარი ღია იმგვარადაა, რომ ქმარი მათ ვერა ჰხედავს, ისინი კიდევ ქმარს, მაგრამ სიჩუმე შეუძლებელია, უნდა იხმაურონ, ილაპარაკონ, ყმაწვილ კაცს კი პირი აუკრავს და დიასახლისის შენიშვნაზე ჟინიანად თავს აქნევს: რა დროს ლაპარაკია, თავი დამანებეო.

— რა გემართება? დღეს რაღაც უცნაურად იქცევი!—ეკითხება ქალი და ქმარს გასძახის:

— თეოფილე!

კაბინეტიდან მოისმის სკამის ჭრიალი და შემდეგ ქმრის ბოხი ხმა.

— რა ამბავი, ჩემო კარგო?

— თეოფილე, თუ ღმერთი გწამს, მეცადინეობას თავი გაანებე და ჩვენთან გამოდი, რადგან შენი მეგობარი ისეთ ცუდს გუნებაზეა, რომ ხმა ვეღარ ამოვაღებინე და ლამის არის ორივეამ დავიძინოთ!

თეოფილე კარგა ხანს ახველებს და შემდეგ უპასუხებს;

არ შემიძლიან, ჩემო ანგელოზო, ძალიან საჩქარო საქმე მაქვს. ეს ალექსანდრემაც კარგად იცის. ორივესა გთხოვთ მაპატიოთ.

ქმარს უპასუხებს ყმაწვილი კაცი.

— ბატონო თეოფილე, ქალბატონი ელისაბედი მოსვლისათანავე გავაფრთხილე, ძალიან დაღალული ვარ მეთქი და რადგანაც მაინც მიჩივის, ამიტომ სხვა არა დამრჩენია რა, რომ გამოგეთხოვოთ და სახლში წავიდე!

დიასახლისი და ინჟენერი ერთმანეთს შესცქერიან და ეშმაკურად იღიმებიან. ქმარი კი ბრძანებისა და ალერსით შეზავებული, შეხმატკბილებული კილოთი კაბინეტიდან გამოიძახის:

— სანდრო, თუ წახვედი, ძალიან მაწყენინებ! წასვლა არ გაბედო, გესმის! საქმეს მალე მოვრჩები და შემოგიერთდებით მანამდის კი გიბრძანებ, გამხიარულდი და მეუღლეც გამიმხიარულე! ლიზა, ვახშამი ხომ გვექნება?

— როგორ არა, გვექნება!

— ჰო და ერთად ვივახშმოთ. სანდრო, კარგი!

— კარგი, ბატონო თეოფილე.

საქმე გაკეთებულია. ბუხრის წინ მჯდომთ ახალგაზრდა ქალსა და ვაჟს ახლა შეუძლიანთ, როცა მოისურვებენ ილაპარაკონ, როცა არა ჩუმად ისხდნენ. ამიტომ იღიმებიან, ერთი ერთმანეთს თვალებით ელერსებიან, ეარშიყებიან, ერთი მეორეს ჰხიბლავს, ერთი მეორეს იზიდავს.

ბუხარში ცეცხლი ძლიერდება. წვრილად დაპობილი რცხილის ხმელი, თეთრი ღეროები ცეცხლის ალში მთლად გახვეული, მხიარული ტკაცანით და ნაპერწკლების აქეთ-იქით სროლით, თანდათან ნაკვერჩხლდებიან, ოქროს ფრად იღლევიან, იშლებიან და სიმხურვალეს უშვებენ.

დიასახლისს ახლა სცხელა. წელში იმართება, ბუას აქეთ-იქით მხრებზე იგდებს, ბროლივით თეთრსა და სუფთა გულსა და მკლავებს, აჩენს თავზე თმას ისწორებს და მოხდენილი, მოქნილი, ოდნავ შესუქებული ტანით ნაზად იზმორება.

გაზმორების მიზეზი იყო, თუ წინასწარ განზრახული საქციელი არავინ იცის, მხოლოდ კაბის ქვედა ტანიდან გამოსცურავს ლაიკის ფეხსაცმელით ნახევრად შემოსილებული, პატარა, ფუნჩულა საგანგებოდ გამოჩარხული ფეხი, ცულის ტარივით დაგვალებული წვივი და მაგარი კუნთი, რომელთა ნაზი, ხავერდიანი კანი წმინდა აბრეშუმის შავი რუჯკიდან ვარდისფრად გამოსჭვის.

ყმაწვილი ქალი ოდნავ წამოიწევს. თავის თავს თავიდან ფეხ ბამდე აათვალიერებს, კმაყოფილი რჩება. შემდეგ ინჟენერს მაცდური თვალებით შეჰყურებს, თითქოს ეუბნება;

— ჰხედავ, რა კარგი ვარ! ვიცი, რომ გიყვარვარ და ამ წუთში ძალიან გინდივარ! ახლა შენ მზადა ხარ, ხელი დამტაცო, გულზე მიმიკრა, დამკოცნო, დამგლიჯო, დამამტვრიო! გინდა, შემიერთდე, შენი არსება ჩემს არსებაში გალესო, გაათქვიფო, მაგრამ ნტ.... არ შეიძლება! ქმარი აგერ მეორე ოთახშია. კარები ღიაა. შეიძლება მოსამსახურეც შემოვიდეს! ჰე! ჰე!! არ შეიძლება! არ შეიძლება!!

ინჟენერს ეს მუნჯური ლაპარაკი კარგად ესმის და ჰღელავს, გული აჩქარებით უცემს, ძარღვებში სისხლი უთამაშებს თვალები ცეცხლის ნაპერწკლებს ისვრის და ნახევრად ალერსიანი, ნახევრად მუქარის კილოთი ეუბნება:

—ლიზა, ნუ მაზიზიანებ!

— მე გაზიზიანებ? საიდან წარმოიდგინე?—უხმოდ იცინის ქალი.— ჰა, ჰა, ჰა! რა ყმაწვილი ხარ!

— რატომ გუშინ ჩემთან არ მოხვედი?—ჩურჩულებს ყმაწვილი კაცი.

— იმიტომ რომ, არ მინდოდა!—ენას უყოფს ქალი.

— არც ხვალ მოხვალ!

— არც ხვალ მოვალ!

— რატომ?

— იმიტომ!—თავის კეკლუცი ქნევით უპასუხებს ქალი ხოლო მთელი მისი არსება ისევ იმას გაიძახის:

— ჰე, ჰე! არ შეიძლება! გუშინ არ მოველ, არც ხვალ მოვალ, დღესაც არ შეიძლება! ანგრე იჯექი და შორიდან დაიწვი; დაიდაგე!

— ლიზა!! ნუ მაზიზიანებ!—მეორედ აფრთხილებს ყმაწვილი კაცი.

ქალი არაფერს უპასუხებს, პირველ ფეხს მეორეს უერთებს და კაბიდან ორივეს იმდენად აჩენს, რომ ყმაწვილ კაცს ტანში ჟრუანტელი უვლის, ბოლოს ვეღარ ითმენს, ვადასწვდება და ფეხში წურბელასავით ეკონება.

— გაგიჟდი?—ეკითხება ქალი და თვალებით კაბინეტის ღია კარზე უჩვენებს.

— ლიზა, მიყვარხარ! ვგიჟდები! ამაზე მეტი აღარ შემიძლიან!—ციებით ავადმყოფი კაცის კილოთი უპასუხებს ყმაწვილი კაცი.

მთელი ტანით ცახცახებს, სულს ვეღარ ითქვამს ახლა მეტის-მეტად ჰღელავს. მისი მღელვარება უმაღლეს წერტილამდე ადის. მის ძარღვებში დარბის და გასავალს ეძებს ის ტკბილი და ნაზი გრძნობა, რომელიც ხშირად ისეთ მძლავრსა, უხეშს და ჯიუტს ხასიათს იღებს, რომ ადამიანს ყველაფერს ავიწყებინებს და ბოროტ მოქმედებასაც კი ადენინებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ გაფითრებული სახით სიფრთხილით ფეხზე დგება, ქურდივით აქეთ-იქით იხედება და ფეხ-აკრებით უახლოვდება.

ქალი თავს იღებს და განცვიფრებით ეკითხება:

— სად მოდიხარ? შენ ადგილას იჯექი! ნუ მოდიხარ, ნუ!..

ყმაწვილ კაცს არა ესმის რა. იმ წუთში ისა ჰგავს სისხლ-ანღვრეულ ავაზაკს, რომელიც დანით ხელში თავის მსხვერპლს უახლოვდება.

— არ მოხვიდე, არ გაბედო!..

მაგრამ ის ტახტთან იჩოქებს და შეშინებულ ელენეს მხურვალედ გულში იხუტებს.

ფერ-წასული, თვალებ გადიდებული ლიზა აქეთ იქით იყურება და ყმაწვილის დასამშვიდებლად თავზე და ლოყაზე ხელს ნაზად უსვამს.

— დამშვიდდი, ჩემო კარგო, დამშვიდდი!

უალერსებს როგორც დედა გაავზნიებულს ბავშვს, რომელიც კანფეტს თხოულობს, კამფეტის მიცემა კი არ შეიძლება.

ყმაწვილი კაცი კი ვით მშიერი ვეფხვი ანთებულის თვალებით ქალს შეჭმას უქადის და ქურდის აცახცახებული გულითა და ხელებით მის სხეულს სჯიჯგნის...

უცბად ქალი დაჭრილ შველივით წამოხტომას სცდილობს და რადგანაც ვერ ახერხებს, აცახცახებული ხმით ყურში ჩასძახის:

— გამიშვი! სრულიად გადაირიე!.. დაჯექი, მოვილაპარაკოთ!.. გთხოვ, დამშვიდდი... ხვალ შენთან მოვალ, პატიოსან სიტყვას გაძლევ, მოვალ...

— არ შემიძლიან!.. არ შემიძლიან!—ისიც იმავე ხმით, ისევე ყურში ჩასძახის...

ამას არ მოელოდა არც ელენე, რომელიც უმანკო, ჩუმი არშიყობით აძლიერებდა ყმაწვილი კაცის გულში დანთებულ ცეცხლს, არც თეოფილე, რომელიც სცდილობდა საქმე მალე გაეთავებინა და მხიარულის გულით ვახშმათ გამოსულიყო, და არც მოსამსახურენი, რომლებიც თავიანთ ოთახში ისხდნენ და ზარის ხმის მოლოდინში მშვიდად მუსაიფობდნენ.

ელენე იბრძვის, მაგრამ ბრძოლა შეუძლებელია და საშიში და იგი რწმუნდება ამაში, მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ ქმარი უცბად არ გამოვიდეს და საქმე არ დაიღუპოს.

თავში ერთი კარგი აზრი მოსდის და ამ აზრს ანახორციელებს.

— თეოფილე!—ეძახის ქალი ქმარს და სცდილობს დამშვიდებული კილო შეინარჩუნოს.

— ჰა, ქალო! რა გინდა?

— რა ჰქენი, საქმე ვერ გაათავე?

— ათი წუთის შემდეგ გავათავისუფლდები და გამოვალ.

— ისეთი რა საჩქარო საქმე გაქვს, რომ ამდენ ხანს გვაცდევინებ?

— აბა რა ვქნა, ძალიან საჩქარო საქმე მაქვს.

ლიზას ღელვისაგან სიტყვები ვერ უპოვნია და გულმოსული ყმაწვილს ეუბნევა:

— ძაღლავრები!.. მძაგხარ! სრულებით აღარ მიყვარხარ! სრულებით—შემდეგ ისევ ქმარს გასძახის:

— თეოფილე!

— ახლავე, ახლავე, ქალო!

— ხვალ დღეამქებთან წავიდეთ, ვინახულოთ!

— წავიდეთ, თუ გინდა.

— უსათუოდ წავიდეთ, დიდიხანია არ ვყოფილვართ, თურმე ძალიან ჯავრობენ! თეოფილე!

— ეჰ, ნუ მიშლი, ჩემო კარგო!—ნაწყენი კილოთი უპასუხებს ქმარი და კალმის ტარით იფხანს საფეთქლების ზევით თავის ორივე მხარეს.

— რასა სჯავრობ? ხმის გაცემა არ შეიძლება? მე გეკითხები... მადლობა ღმერთს!—თავისუფლად სუნთქავს ლიზა—გამეცალე! მამძორდი! ამას შენ თავის სიცოცხლეში არ გაპატიებ!—დგება კაბასა და თმას ისწორებს და ბალიშებზე უღონოდ ეცემა—ახლა შენ ელაპარაკე! ელაპარაკე რაზედმე, გესმის?—ეუბნევა ყმაწვილს და გაწითლებულ სახეს ბალიშებში მალავს.

ყმაწვილი კაცი ხმა მაღლა იძახის:

— ბატონო თეოფილე! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— რა დაგემართა? ისმის თეოფილეს უკმაყოფილო ხმა.

— სახლში გეახლებით!..

ლიზა თავს მაღლა იღებს და გაკვირვებით შეჰყურებს.

— როგორ? მიდიხარ?!

— სანდრო, არა გრცხვენიან, ხუთი წუთი ველარ მომიცადე?—ნაწყენი კილოთი უმატებს თეოფილე.

— დაღალული ვარ, ბოდიშს ვიხდი!

— კაცო, მაიცადე ვახშამი ვჭამოთ! ლიზა, არ გაუშვა!

— უკაცრავადა ვარ არ შემიძლიან! ქალბატონო ელისაბედ ნება მიბოძეთ, გამოგეთხოვოთ!

— უსვინიდისო! წადით, მე თქვენ აღარ გიცნობთ! თავის დღეში ველარა მნახავთ! — ბრაზმორეული უპასუხებს ლიზა და სახეს ისევ ბალიშებში მალავს.

— ღამე მშვიდობისა, ბატონო თეოფილე, ხელის ჩამორთმევით აღარ გაწუხებთ! — ამ სიტყვებით ყმაწვილი კაცი კარებისაკენ მიდის.

— რა გაეწყობა, კარგად იყავი, ნუ დაგვივიწყებ, საღამოობით შემოიარე ხოლმე, თორემ თითქმის ყოველ ღამე აი ასეთი საჩქარო საქმე მაქვს. მუშაობა მიხდება და ლიზა თავს ძალიან მოწყენილადა გრძნობს უკაცრავად ვარ, რომ ვერ გაცილებ!—ამბობს აჩქარებით თეოფილე და ისევ თავის ქაღალდებს უბრუნდება.

ყმაწვილი კაცი კარებში გადის. ათი წუთის შემდეგ ლიზას ბალიშებზე მიეძინება. ნახევარ საათის შემდეგ სასტუმრო ოთახში შემოდის თეოფილე, მაღალი, სქელი, დიდი მუცლით, ჩავარდნილი კისრით, გრძელი, სქელი, გაჭაღარავებული თმითა და წვერ-ულვაშით, პატარა ხანს კარებში ჩერდება, რამდენიმე წუთს გიმნასტიკით ხელებსა და წელს ავარჯიშებს, შემდეგ ცოლს უახლოვდება და ფრთხილად აღვიძებს.

— ვახშამი არა ვჭამოთ ჩემო ანგელოზო?

ლიზა უკმაყოფილოდ უპასუხებს:

— შენ სჭამე, მე არ მინდა!

— არც შენ გინდა? რა ხართ ეხლანდელი ახალგაზრდები? ჯანი თქვენ არა გაქვთ, კუჭი თქვენ არ გივარგათ, ხალისი არაფრისა გაქვთ. აი მიყურეთ მე, მუშაობაც ბევრი ვიცი და ჭამაც კარგი.—ამ სიტყვებით ზარს რეკავს. მოსამსახურე გოგო შემოდის, სუფრასა შლის და პატარა ხანს უკან თეოფილე. საჭმელს გემრიელად შეექცევა და ცოლს ეკუსაიფება:

— რატომ არ დარჩა ის საძაგელი ისა! თითო ბოთლს ღვინოს გადავკრავდით და საქმე კარგად იქნებოდა. მაინც რა იყო, სად წავიდა?

— აბა, რა ვიცი, სად წავიდა! უკმაყოფილოდ უპასუხებს ცოლი და შემდეგ ეშმაკური ღიმილით ტუჩებზე უმატებს—დაიღალა და წავიდა ხომ გითხრა, დაღალული ვარო?

— მერე რა რომ დაიღალა?—ფილოსოფიური კილოთი უპასუხებს თეოფილე—როდესაც მე დიდხანს ვმუშავობ და თუ საქმე კარგია, ხასიამოვნო, გათავების შემდეგ მიყვარს ლაპარაკი და მსჯელობა ისეთ მსუბუქსა და სასიამოვნო საგნებზე, რაზედაც ადამიანის გონება და სული ისვენებს.

ცოლი იმავე ეშმაკური ღიმილით ტუჩებზე უპასუხებს:

— ზოგს, ჩემო კარგო, საქმის შემდეგ უყვარს ლაპარაკი, ზოგს არა! ეს ხასიათზეა დამოკიდებული! ღამე მშვიდობისა, წავალ დავიძინებ!—ამ სიტყვებით ქალი დგება და არც კი შეჰხედავს ქმარს, თავის საწოლ ოთახისკენ მიდის.

— იიფ!—ამბობს თეოფილე როდესაც უკანასკნელი ჭიქა ღვინო გამოცალა—ახლა ერთი კარგი ლურჯი ძილი!.. იიფ!

ამ სიტყვებით დგება და ნელის ნაბიჯით დასაწოლად თავის კაბინეტში შედის.

ხვ. უფიანი.

ახალ სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაშვილის შესახვევი № 4.